

ამირან გიორგაძე ელგუჯა თავბერიძე

გონი ნაპირი

(ერთი ნოვაქიკა)

ქუთაისი
2005

Յոթո՞ւ հոծախո՞ւ

Նոյն ժամանակներու եւ ինչպէս
լոյս տեսնուած է ոչ ոքի.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս
նորոգելու է ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.

- Յոյն ժողովուրդի մտայնական
կարգադրութեամբ,
նորոգելու է ինչպէս ինչպէս
նորոգելու է ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.
Եւ ինչպէս ինչպէս ինչպէս.

հոծախո՞ւ նորոգելու է

შოთა რობაქიძე მთელი ცხოვრება ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში მოღვაწეობდა. იყო ფიზკულტურის მასწავლებელი. ხასიათით, მსოფლგანცდით, პიროვნული ხიბლით გამორჩეული კაცი.

სწორდ ამ გამორჩეულობასა და სხვათაგან განსხვავებულობაზე მოგითხრობთ ეს წიგნი.

რედაქტორი ნოდარ ბიორბაძე

მხატვარი ბიორბი შერაშიელი

ISBN 99940-832-4-4

პროლოგის მადიერ

სიცოცხლე არც ხანგრძლივობით და არც იმით იზომება, რაოდენ დიდ ასპარეზს არგუნებს განგება ადამიანს. ასწელს მიღწეული მუქთად წუთისოფლის გამლევიც გვიანხავს და ღმერთისგან ფართო შესაძლებლობებით თავდაბერტყილი ვიგინდარაც, ერთიც უკვალოდ გამქრალა, მეორეც. პირველს მცონარობაში უთენ-ულამებია, მეორეს კიდევ ვერ გაუგია, რა შეეძლო და ფუჭად უფანტავს საქვეყნოდ მიმოსაქცევი ძალი და ღონე.

ერთიც, მეორეც უნიშნოდ წარხოცილა.

ამიტომ მთავარი სულაც არაა ხანგრძლივ ყოფნა ან დიდი სადავეების ხელთპყრობა მავანისა, მთავარია, სადაც ხარ, იქ იღვანო, იქ აკეთო საქვეყნო საქმე, იქ ენთო...

კი არ მკრთალნათობდე ან ბჟუტავდე, ენთო...

შოთა რობაქიძემ ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად გალია მთელი ცხოვრება. არც დანინაურებაზე უფიქრია, არც უკეთეს სამსახურებრივ ყოფაზე, არც მატერიალურ კეთილდღეობაზე. უფრო მეტი, სხვათა ამგვარი განაზრახისათვის კატეგორიული უარი შეუგებებია ხშირად.

იყო და მოღვანეობდა იქ, სადაც სურდა, სადაც, მართალია, ფართო გასაქანი არ ჰქონდა მის ნიჭსა და შესაძლებლობას, მაგრამ ამ „პატარა სივრცეში“ საქმიანობით დატოვა კვალი, კვალი წარუშლელი, თავისი არსით მნიშვნელოვანი და გამორჩეული.

ქვეყანას ასეთი ადამიანები აშენებენ, აღორძინებენ, თავიანთ პატარ-პატარა კუთხეებს, ნიშებს ასპარეზისა, ანეს-რიგებენ და საბოლოო ჯამში ქვეყანაც მკვიდრდება, მყარი საფუძვლით იგება...

ქვეყანა შოთა რობაქიძის მსგავს ადამიანთა და არა მიხრწნილ უქნარათა, ან კიდევ მედროვე შურის მფრქვეველთა წყალობით არსებობს. ყველა მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა რომ შევისწავლოთ, ეს იქნება ისტორიაც ქვეყნისა.

შოთა რობაქიძემ შექმნა, დააარსა, დაამკვიდრა, ტრადიციად აქცია უამრავი რამ — ცარიელ ნიადაგზე დაიწყო მოღვაწეობა და სრულყოფილი სააღმზრდელო კერა დატოვა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისში სპორტს, საერთოდ ფიზიკური კულტურის სწავლებას, არც სათანადო ყურადღებას აქცევდნენ, სპეციალისტებიც არ იყო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხომ არ არსებობდა და არ არსებობდა. შოთა რობაქიძემ იმ დროისათვის ერთი გამორჩეული სპორტდარბაზი შექმნა, მართლაც რომ იმ პერიოდისათვის შესაშური ინვენტარით აღჭურვა, სწავლების მისეული ტრადიცია დაამკვიდრა.

ყოველივე ერთი ადამიანის საკეთებლად სულაც არაა მცირე.

გარდა ამისა, იყო საოცარი ხასიათის, ბუნების, მსოფლგანცდის პიროვნება, მოსწავლეთა მესაიდუმლე, მათი ფიქრის წამკითხველი.

ცხოვრობდა მათი უკეთესობის იმედით, მამულის ხვალისდელი დღის რწმენით, ფიქრობდა, ზრდიდა ქვეყნის პატრონ და მომვლელ თაობას.

არც ესაა საკეთებლად კნინი და მეორეხარისხოვანი, პი-

რიქით, ქართველთა უმეტესობა რომ ასე იქცეოდეს, იქნებ უკეთესი უამი იდგეს ქვეყანაში.

ამიტომაც გვინდა, მისაბაძი გავხადოთ შოთა რობაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალთათვის.

ამისათვის კი წიგნზე უკეთესი საშუალება არც ჩვენ ძველებს ეგულებოდა, არც ჩვენ გვეგულება.

შოთა რობაქიძის ცხოვრების წიგნი ბევრს დააფიქრებს, ზოგს, ცხოვრების გაღვევის ზღვართან მიახლოებულთ, სინანულს გაუჩენს, ზოგს კიდევ მისაბაძ, სანიმუშო მაგალითად წარმოესახება.

რამეთუ მან, მართლაც, გამორჩეულად იცხოვრა და იღვანა.

„აბრეთი გქონდეს გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი“

ბერძნების ნათქვამი—ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, შოთა რობაქიძეზე იყო ზედგამოჭრილი. ტანით ახოვანი, არც ძალიან მაღალი, არც მსუქანი, არც ხორცშეფერთხილი, შემკულ-შეთანწყობილი სხეულებრივი ზომანონით, სპორტულად ჩამოქნილ-ჩამოკვეთილი. შეხედავდი და ირწმუნებდი ჰარმონიულობას მისი ფიზიკური ყოფიერებისა. იყო ვაჟკაცი, მოჭარბებულ-მომეტებულად ძლიერი და მკვრივალნაგი. მაჯაზე არც ერთი სამაჯური არ ნვდებოდა, თითქმის იმოდენა ზომის ჭირდებოდა კიდევ და ერთის ნაცვლად ორს ყიდულობდა, ერთის ნახევარს მეორეს გადააბამდა, ორიდან ერთს გამოიყვანდაო, — გვეუბნებოდა. ასე იყო, მისი ფართე მკლავები ასეთივე, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, უჩვეულოდ დიდი გარშემონერის მაჯებით ბოლოვდებოდა.

ისიც აქვე ვთქვათ, ბევრი არაფერი ჰქონდა ჩვეულებრივი. სხეულით ხომ გამოარჩევდი, დააკვირდებოდი, თვალს მიაყოლ-მიადევნებდი, სიარულიც ასეთი ჰქონდა, სპორტული, მისეული. სიტყვით ძნელად რომ იტყვი, უფრო იმას თუ აღნიშნავ, მისი ყოველი ნაბიჯის გადადგმა დაგარწმუნებდა, რა სხეულს ატარებდა, რა ძალა და ენერჯია დაბუდებულიყო მასში.

სხეული დაგანახვებდა დინჯ, თავის თავში დარწმუნებულ, სპორტული ბუნებისა და აღნაგობის ადამიანთან გქონდა საქმე.

სპორტულიც იყო, რაინდულიც...

შეგხედავდა და გაგცხრილავდა, აგწონიდა. ამ დროს ოდნავი ღიმილი გადაეფინებოდა სახეზე, იყო ამ ღიმილში იმედიც, ეჭვიც, უფრო სითბო და სიყვარული, მის გამჭოლ მზერას ვერაფერს გამოაპარებდი, ირონიაშეპარული სახის იერით გაგრძნობინებდა, რომ მიგიხვდა, მისთვის დაფარული და დამალული ცოტა რომ იყო ამქვეყნად.

იშვიათად, უფრო მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, არასდროს ბრაზდებოდა, ყვირილი, გაანჩხლება უჩვეულო იყო მისთვის. ერთ შემთხვევასაც ვერ იხსენებენ მისი აღზრდილები, შოთა რობაქიძე 45 წლის პედაგოგობის მანძილზე ნყობიდან გამოსულიყო, არეულიყო, ხმამაღლა ეთქვა სათქმელი, არა! მისთვის სიტყვას მრავალგვარი მნიშვნელობა გააჩნდა, ინტონაციას შესაშურად არჩევდა, ისე იტყოდა, იმგვარი სახის გამომეტყველებით და ხმის ჟღერადობით, გაანჩხლება გერჩინა. საპასუხოს არაფერს დაგიტოვებდა, შეუმცდარად გაგრძნობინებდა, რომ ისე არ შეიძლებოდა.

სიტყვას გეტყოდა მისეულად გამორჩეული ინტონაციით, ოდნავ შეკვეცილი, დაუბოლოვებელ-დაუმთავრებელი წინადადებით, მერე მას მოძრაობას მოაყოლებდა სხეულისა, ასევე სხვანაირს, მისთვის ნიშანდობლივს და მორჩა, მიღწეული ჰქონდა მიზანი, ის გამარჯვებული, შენ საკუთარი შეცდომის დუმილიანი აღიარებით განბილებული რჩებოდი. ყველაფერს ამას კი მოსწავლის, სამშობლოს ხვალინდელი დღის უკეთესობისთვის იქმოდა. თუ მაინც თავს გამოიღებდი (ხომ არიან ურწმუნო თომანი), შეპასუხებას გაბედავდი, თავის გამართლებას ეცდებოდი, მოკლედ მოგიჭრიდა: არ თქვა არაფერი... და ამ არაფრის თქმაში ზედმინევნით იხატებოდა ის, რომ იგი შემთხვევით არაფერს ამბობდა, ზერელედ სიტყვასაც არ დაძრავდა, ყოველი ფრა-

ზა მოსწავლის შეცნობის, მისი ავან-ჩავანის, ხასიათის, საქციელის შემონმების ფიქრით იყო ნაკარნახევ-განპირობებული.

არ თქვა არაფერიო და ამის შემდეგ ხვალ სხვანაირი უნდა ყოფილიყავ, შეცდომის გასწორებაზე მოფიქრალი, მზრუნველი. ერთი სიტყვით, ეს შოთა რობაქიძის მეთოდი იყო მორჯულებისა (უყვარდა ეს სიტყვა), მისთვის სასურველ ყაიდაზე მოსწავლეთა მოქცევისათვის მოგონილი. და, თუ ესეც არ გაჭრიდა (ურნმუნო თომაზე ურნმუნონიც ხომ არიან), ასეთ მოსწავლეს ახლოს დაიყენებდა, ძუნნად შეაქებდა, დააკვირდებოდა, შველოდა თუ არა ეს „წამალი“, ხომ არ ყოყორდებოდა უფრო და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ და ამაში არაფერი იქნება გადაჭარბებული—შოთა რობაქიძისათვის შეუცნობი მოსწავლე არ არსებობდა, როგორც მოქანდაკე თიხას, ისე აძლევდა სასურველ ფორმასა და შინაარსს მათ მიმართულებას.

სიტყვასთან სხვანაირი, გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა-თქო, აღვნიშნეთ, მართლაც ასე იყო. ვინც მოწონდა, ეიმედებოდა, ეამაყებოდა, ძონძს ეძახდა. ძნელია ამ სიტყვაში ჩააქსოვო სიტბო, სიყვარული, ის აქსოვდა. აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვას აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობით იყენებდა. ახლავხვდებით, ესეც მისი მოგონილი მანევრი იყო. უპირველესად, ძონძს ისეთი ინტონაციით გეტყოდა, მოწონების შინაარსს გაგრძობინებდა, მაგრამ იქვე დაგაფიქრებდა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობაც და გაორჭოფებული რჩებოდი, თუ მაქებს, ძონძს რად მეძახის, თუ არა და... ამ ზღვარზე დაგტოვებდა. კარგად ვერგარკვეულს, რატომ და რისთვის მოგმართავდა ამნაირად. უფრო სწორად, არ უნდოდა, შეგეტყო, რომ მოწონდი, გაფასებდა, მანძილს იტო-

ვებდა შენსა და საკუთარ თავს შორის. უნდოდა, შეექე, ნახეხლისებინე, მაგრამ არა ისე, რომ გაყოყოჩებულიყავ, მოსწავლე-მასწავლებელს შორის ტოლობის ნიშანი დასმულიყო. უნდა გცოდნოდა, ის მოძღვარი იყო, შენ—შეგირდი. ამიტომ გაქებდა სალანძღავი სიტყვით. ჩვეულებრივად, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ადამიანს ძონძი რომ დაუძახო, აძაგებ, მის სიმდოვრეს, მოუქნელობას, უფრო მეტი—სამოსშემოფლეთილობასაც უსვამ ხაზს. შოთა რობაქიძე მცირე დოზით ჩვეულებრივ გაგებასაც ათავსებდა ამ სიტყვაში, უფრო კი ახალ შინაარსს სძენდა მას.

ესეც ხომ გამოცდილ, მაღალი პედაგოგიური ტაქტით დაჯილდოებულ, უფრო ზუსტად, მასწავლებლად დაბადებულ ადამიანებს ძალუძთ. იყო ასეთი, სიტყვით მიულწევლის მიმღწევი, იმის გამმელავნებელი, რასაც ფიქრობდა და განიცდიდა. მისთვის მხოლოდ სიტყვას გააჩნდა ძალა. არადა, საკმაოზე საკმაო წარმოდგენა ჰქონდა სხვა ძალაზეც, მის სხეულში რომ ჩაბუდეებულიყო, სამაჯურშემოუნვდენელ მაჯაში რომ ბობოქრობდა. ასეთ ძალას არასდროს მიმართავდა, სხვები—პირიქით, ამნაირად ცდილობდნენ მოსწავლეთა დათრგუნვას. ის—არა, მისთვის სიტყვით მიულწეველი ნებისმიერი სხვა საშუალებით მიულწეველი რჩებოდა. და, როცა, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოერეოდა იმნაირი, სიტყვით რომ ვერაფერს მოუხერხებდა, გაფუჭებული კაციო, იტყოდა და ამ ორი სიტყვით დაუსვამდა წერტილს, გამოუტანდა ერთადერთ და შეუმცდარ დიაგნოზს.

ადარდებდა მოუთვინიერებელთა ბედი, ხშირად სხვასაც დაიხმარდა, ღონეს, ძალას არ დაზოგავდა და ამით მიაღწევდა სანადელს. საკუთარი ხიბლი ჰქონდა, ერთადერთი, განუმეორებელი, თაობიდან თაობას რომ წვდებოდა, სკოლადამთავრებულები იქ დარჩენილებს რომ გადასცემდნენ

და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ტრადიციად ქცეულიყო, ერთგვარ კრიტიკრიუმად ჩამოყალიბებულიყო შოთა რობაქიძის ფენომენი, მისი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი. ორმოცდახუთი წელი ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა, აცნობდა, აყვარებდა ამ საგანს, სპორტს საერთოდ, ახალგაზრდებს, მაგრამ ამავე დროს იყო ყველას მცნობი, ოჯახიშვილობის გამგები, დირექციასთან შუამავალი. არც ახლა ვაჭარბებთ, — დირექტორები სხვები იყვნენ, ისინი დეიურე, როზა შერგელაშვილი და შოთა რობაქიძე კი დეფაქტო, რადგან მათ მოსწავლეთა გულისწადები იცოდნენ. ამიტომ ერთგულედა ერთი მხარეც, მეორეც... ეკრძაღვოდნენ და უყვარდათ ერთდროულად. ამაზე ქვემოთაც ვიტყვით, ახლა ისევ შოთა რობაქიძის გამორჩეულ სხეულში ჩაბუდებულ გამორჩეულ სულიერ თვისებებს მივუბრუნდეთ.

სამასწავლებლოში სასკოლო ჟურნალის წამოსაღებად თუ შევიდოდა, სხვა დროს სულ მოსწავლეებთან ტრიალებდაო— გვეუბნება შოთა რობაქიძის უახლოესი მეგობარი თამაზ გიორგაძე. მართლაც ასე იყო, სხვა მასწავლებლები, გაკვეთილი დამთავრდებოდა თუ არა, სამასწავლებლოს მიაშურებდნენ, ახალი გაკვეთილის დაწყებამდე იქ იყვნენ, ბჭობდნენ, საუბრობდნენ, შოთა რობაქიძე— არა. ჩააბარებდა სასკოლო ჟურნალს და გამოვიდოდა დერეფანში, გაერეოდა მოსწავლეებში, გაესაუბრებოდა, რჩევას მისცემდა, დააკვირდებოდა, ვინ როგორ იქცეოდა, დაიმახსოვრებდა ზოგ-ზოგიერთთა მოქმედებას, გამოხედვას, თვალეების გამომეტყველებიწ ნაკითხვაც ხომ შეეძლო, აქედან გამომდინარე გაატარებდა სიტყვიერ დარჯაკში. მოკლედ, ლაკონურად ეტყოდა სათქმელს. მისი იქ ყოფნა მოსწავ-

ლევს ზრდიდა, აჩვევდა, როგორ მოქცეოდნენ თანატოლებს, როგორ მიემართათ უფროსებისა და ერთმანეთისათვის.

სხვები სამასწავლებლოში იყვნენ, ის—მოსწავლეებთან, დერეფანში, საერთო ჟრიამულსა და ჟივილ-ხივილს მიყურადებულნი.

ამიტომ სხვები ნაკლებად იცნობდნენ აღსაზრდელებს, ეს — მეტად, მეტად კი არა, თითქმის სრულფასოვნად, იცოდა, ვინ ვისი შვილი იყო, ოჯახიშვილი, ძმა, და და ასე შემდეგ.

იცნობდა, იცნობდნენ...

გაერეოდა საერთო ჟივილ-ხივილსა და ჟრიამულში და მისი იქ ყოფნა სიმშვიდე-სინყნარესაც განაპირობებდა, ნეს-რიგსაც...

იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად ვერც წარმოედგინა, ვერც გაეაზრებინა, მათთვის მეზობელი სოფლიდან მოდიოდა, მოსწავლეების გარეშე ერთი დღეც არ შეეძლო ყოფნა და სამასწავლებლოში როგორ დაყოვნებოდა, როგორ შეიქცევდა იქ თავს, როცა მისი სათაყვანო პატარები აქ იყვნენ. მივიდოდა ფანჯარასთან რამდენიმე უფროსკლასელთან ერთად და დაიწყებდა საუბარს, თან ბავშვების მოჟრიამულე ნაკადს შესცქეროდა, პატარებს გვშურდა დიდების, გვინდოდა, მალე გავზრდილიყავით და ჩვენც ასე მოგვექცეოდა, მასთან მოსაუბრეებს კრძალვით შევცქეროდით, გადავედით უფროს კლასებში და ჩვენ ვიდექით სხვების ადგილას, მერე სხვებმა შეგვეცვალეს და ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ შოთა რობაქიძე მისთვის სათაყვანო ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა.

სპორტს ხომ აყვარებდა და აყვარებდა მოსწავლეებს, მაგრამ მისთვის უპირველესი ახალგაზრდების ქართველად

აღზრდა იყო. ქართველი უნდა იყო, ქართული ენა უნდა იცოდე კარგად, შეიძლება გახდე ექიმი, ინჟინერი, მაგრამ უპირველესად უნდა იყო ქართველი და მერე დანარჩენი—სმირად გვეტყოდა ხოლმე. ბეჟან ნებიერიძე, შოთა რობაქიძის აღზრდილი, იგონებს: 1978 წელია. დამიძახა და მითხრა: წადი ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის სტადიონები გაზომე და მონაცემები მომიტანე. მომცა ე.წ. „რულეტკა“ და წავედი ერთ თანაკლასელთან ერთად. გავზომეთ ერთი, მეორე, მესამე, ჩამოვწერეთ ზომები ფურცელზე და მივუტანეთ, დახედა და მითხრა:

—არაა ეს ზომები სწორი, წადი, ხელახლა გაზომე.

წავედით, გავზომეთ, ახლა უფრო კობტად ჩამოვწერე იგივე მონაცემები ფურცელზე და მივუტანე. დახედა, თვალები მოწკურა და სახემოლუშულმა მითხრა:

—არაა სწორი, წადი, ისევ გაზომე...

წავედით, ვზომავთ ერთს, მეორეს, მესამეს... მონაცემები იგივეა. თან ვფიქრობთ, თუ იცის ამ სტადიონის ზომები, რას გვანვალებს, თუ არადა, რატომ არ ენდობა ჩვენს გაზომილს, ვორჭოფობთ, ვფიქრობთ... ისევ გავზომეთ, იგივე მივიღეთ შედეგი.

მივუტანე, ჩაიკითხა კვლავ საგულდაგულოდ და მითხრა:

—არაა სწორი...

—შოთა მას, იქნებ რომელიმეს რამდენიმე სანტიმეტრი აკლდეს, თორემ სხვა მხრივ ზუსტია.

—არაა სწორი, ისევ გაზომე,—დაიჟინა...

შემოვბრუნდი, რა ძალა მაქვს, უნდა წავიდე. მკლავში ხელი წამავლო და მითხრა:

—შვილო, კალაბურთი კი არა, კალათბურთი, ფეხბურთი კი არა, ფეხბურთი, ფრენბურთი კი არა, ფრენბურთი...

—ამას რა მნიშვნელობა აქვს, შოთა მას, მე ზომები ჩამოვწერე...

—ამას აქვს სწორედ მნიშვნელობა—ჯერ ქართული უნდა ისწავლო კარგად და მერე დანარჩენი, ქართულია მთავარი, ქართული—გამიმეორა, მხარზე ხელი დამადო და ქართული ენის ცოდნის აუცილებლობაზე კარგა ხანს მესაუბრა. მითხრა, რომ ჩვენს ენას ჩვენ უნდა მივხედოთ, ვუპატრონოთ, კარგად შევითვისოთ, მცირერიცხოვანი ერი ვართ და თუ არ გავუფრთხილდებით მშობლიურს, არ მოვეფერებით, არ შევინახავთ, გადაგვარდება, ჩვენს მტრებსაც ეს უნდოდა და უნდა. კიდევ მითხრა რაღაც, აღარ მახსოვს.

იყო მიმტვევებელი, მოსწავლის დამცველი, მისი სამომავლო გზის მოდარაჯე. ხანდახან უჩვეულოსაც გეტყოდა, თავსატეხს გაგიჩენდა, დაგაფიქრებდა.

მეათე კლასში ვართ. ფიზკულტურის გაკვეთილია. გოგონები სირბილში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ბიჭები ორად გაგვყო და ფრენბურთის თამაში გვიბრძანა. ვთამაშობთ, ამ სტრიქონების ავტორებიდან ერთი მოედანზეა, მეორე მსაჯობს, ხან ერთი მხარე გაიწვეს წინ, ხან მეორე. გარდამავალია უპირატესობა, ბოლოს იქითა ნაწილმა იმძლავრა და ტყვიებივით ცვივა აქეთ ბურთი. განსაკუთრებით ერთი სუსტი რგოლი მოძებნეს და იქ მოხვედრილი ბურთი გოლია ასპროცენტიანი. თანაკლასელი ვერ თამაშობს ჩვენი და მოწინააღმდეგეც, სადაც ის დგას, იმ სექტორში აღწევს სანადელს. ერთ-ერთი აქეთა მხარელი (გვარებს საგანგებოდ არ ვასახელებთ) მივარდა სუსტ მოთამაშეს და ხელით შემოუღობა ფეხებთან წრე, შემოუხაზა ფხვიერი მინა—ამას იქით არ გადადგა ნაბიჯი, ბურთის მისაღებად არ წაინიო, იდექი ამ რგოლშიო.

შოთა მასწავლებელმა დაინახა, სასტვენნი მოიმარჯვა,

ჩასტვინა და თავისუფლები ხართო—გამოაცხადა. ჩვენ ორი დავგიტოვა, ხელით გვანიშნა, დარჩითო. რას ვიზამდით, ყველანი წავიდნენ—მოედანზე შემომხაზავიც, შემოხაზული სუსტი მოთამაშეც. ჩვენ დავრჩით. ვუცდით, ის არ იძვრის ადგილიდან, ჩვენ კიდევ ვეკრძალვით და ბიჯს ვერ ვდგამთ, იქით იხედება, ჩვენ აქეთ ვდგავართ, ნახევრად ზურგშექცეულია ჩვენგან. ბოლოს მოგვიახლოვდა, ისე, რომ არც შეჩერებულა—არ იცით თქვენ, ჰენლაინი ვინ იყო, გვითხრა; ცოტა დაგვცილდა, თავისუფლები ხართო, მოგვაცხადა და სპორტდარბაზისკენ გაემართა.

გავოგნდით. ვერ მივხვდით, რა გვითხრა. ერთმანეთს ვეკითხებით, თან ეჭვიც გვეპარება, ერთს გვგონია, მეორემ იცის, მეორეს—პირიქით, ალბათ ისეთი რამ გვითხრა, უძნელდება გამხელა-მეთქი, ვფიქრობ, ისიც ასევე. მეორე გაკვეთილიც მოვიდა, ერთმანეთზე ეჭვი რომ გაგვექარწყლებინა, შევეკითხეთ, ოდნავი ღიმილი გაუკრთა ბაგესთან და გვიპასუხა:

—საქმეც მაგაა, რომ არ იცით.

კიდევ უფრო გავოგნდით, ვინ ჰენლაინი, რა ჰენლაინი... მე მგონია, მან იცის, იმას ჩემზე აქვს ეჭვი.

უყვარდა ქარაგმით თქმა.

სკოლა ისე დავამთავრეთ, ჰენლაინი არც გაგვხსენებია, აღარც გვიკითხავს. ერთხელ, შემთხვევით, ვილაც კარეევის წიგნი ჩავგივარდა ხელთ საათების ისტორიაზე და იქ არ ვნახეთ ჰენლაინი?! თურმე პირველი ჯიბის საათი მას გამოუგონია. ეს კი, მაგრამ ჩვენს იმდროინდელ ყოფასთან რა უნდა ჰქონდეს საერთო?! რა და, პატივცემული ჰენლაინი ვერ იტანდა თურმე, საათი ან წინ თუ წავიდოდა ან უკან ჩამორჩებოდა. ჰოდა, სანამ დროის ზუსტად აღნიშვნის მექანიზმს დახვეწდა, ასეთებს მოისროდა ხოლმე. ბარე ხუთი

ათასი საათი ექნებოდა მოსროლილიო—ენერა იმ წიგნში:

მოედანზე ფხვიერ მინაშემომხაზველი ჩვენი თანაკლასელი კიდევ არც მთლად საჩვენო იყო, სხვა სკოლაში გადასვლაზეც ფიქრობდა, იქ მეტი თავისუფლება მექნებო, გვეუბნებოდა. ჩვენ ვუშლიდით, არ ვანებებდით. ის დროდადრო გვიმეორებდა. შოთა მასწავლებელმა კი ამ ქარაგმით გვითხრა: ან მოარჯულეთ, ან მოიშორეთ, ისე, როგორც ჰენლაინი მოისროდა წინგასწრებულ ან უკანჩამორჩენილ საათებსო.

ამ ამბიდან ბარე ოცი წელი იქნებოდა გასული, რომ განვუცხადეთ, ვიცით რაც იმ დროს გვითხარით, რა აზრიც ჩადეთ იმ რებუსულ ნათქვამში-თქო. გაელიმა:

არ გეცოდინებათ?!—მონკურა თვალები

დეტალურად მოვუყევით ყოველივე.

თვალები უფრო მონკურა, სახე გაებადრა, გცოდნიათ, ჩაგვიღიმილა.

უყვარდა ქარაგმით თქმა. ხანდახან სხვის საყვედურს შენ გეტყოდა და დააკვირდებოდა იმ სხვას, შენ კიდევ ნამეტანი განცვიფრება-გაკვირვებას თუ შეგამჩნევდა, ძონძიო, შეგამკობდა და დაგამშვიდებდა.

დავით ენუქიძე ჩვენი თანაკლასელია. სიგრძეზე ხტომაში იყო გამორჩეული, თორმეტი წლისა ექვს მეტრზე ხტებოდა, იმ დროს კი არა, აგერ აქამომდე 8მ და 90 სმ მსოფლიო რეკორდად ითვლებოდა. ამ ასაკის ბავშვისათვის მიღწეული შედეგი არ გახლდათ ურიგო. შოთა მასწავლებელიც აგულიანებდა, აქეზებდა, რაიონულ შეჯიბრებებზე დაყავდა—გამხდარი, ანონილი ბიჭი წინნიბურივით გამოექანებოდა და ექვს მეტრს გადააცილებდა, მერე ნელ-ნელა უმატებდა, მერვე კლასში შვიდ მეტრსაც თავისუფლად ძლევდა. სიგრძეზე ხტომის მაჩვენებელს აუმიჯობესებდა

სიმსუქნის მაჩვენებელს კი აუარესებდა, რაც უფრო დიდ მანძილზე ხტებოდა, მით უფრო გამხდარი მოეჩვენებოდა კაცს. შეხვდა შოთა მასწავლებელი და უთხრა:

—ერთი საჭმლით გამაძლარი მენახე და არ მინდოდა მეტი არაფერი.

—რატომ მეუბნებით მას, საჭმელი გვაქვს სახლში.

—მაგ საჭმელს არ ვგულისხმობ, ძონძი, შვიდ მეტრზე გადამხტომი ბავშვი ორ კილოგრამ შოკოლადს მაინც უნდა ჭამდეს დღეში. ისეთ კვებაზე გეუბნები, სპორტსმენს რომ ჭირდება.

იცოდა, როგორი კვება ჭირდებოდა სპორტსმენს, რანაირი ვარჯიში, თავდაუზოგავი შრომა სასურველის მისაღწევად. უშრომლად, ოფლის დაუღვრელად არაფერი კეთდება, თქვენ ხშირად მხოლოდ შედეგს უყურებთ და იმით ტკბებით, ის კი არ უნყით, როგორი ჯოჯოხეთური წვა და დაგვა ჭირდება იმ რეზულტატის მიღწევას.—იტყოდა ხოლმე.

—ნიჭი, შოთა მას. —შევეკითხებოდით.

—ნიჭია უპირველესი, ნიჭიერ კაცს არ უნდა დაეზაროს ოფლის ღვრა და მაშინ მიაღწევს შედეგს, თორემ უნიჭომ რაც უნდა, ის ქნას, არაფერი გამოუვა, მისი წვალეობა ფსკერგავარდნილ კასრში ნყლის ჩასხმას ჰგავს, —მოგვიჭრიდა.

გრანიცის ყვირილი

როზა შერგელაშვილმა, სხვა მრავალ ამბავთან ერთად, ერთი საოცარი ფრაზაც გვითხრა:

ქვედა საზანოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგი, დიდად გამჭრიახი გონების კაცი გენადი კობახიძე შოთა რობაქიძეს გრანიცის ყვირილს ეძახდაო.

კარგი ნათქვამია, მითუმეტეს იმ კაცისაგან, ვისაც ადამიანში უმთავრესის გამორჩევის და სახელდების დიდებული ნიჭი ჰქონდა.

გრანიცის ყვირილი...

კარგია, მაგრამ რაღაც განმარტებას მაინც საჭიროებს. ვინმემ ამ ფრაზაში იუმორისტული შინაარსის ძებნა რომ არ დაინყოს, მათ გასაგონად დავძენთ, ეს ორსიტყვედი, უპირველესად, შოთა რობაქიძის სხვათაგან გამორჩეულობას მიგვანიშნებს, იმ არააქაურობას დაგვანახებს, რაც საზღვართანაა, იქითაა და ერთეული თუ აქეთაც გამოერიკა, სწორედ ასე უნდა მონათლო—გრანიცის ყვირილი.

იყო მის ხასიათში რაღაც მედიდური, მუდამ შემართულს ჩათვლენა არ ჩვეოდა, ასეთ ადამიანსაც ძნელად ეგუებოდა. საკუთარი პრინციპების უღალატობა, ძალით გატანა გასატანისა, მუდმივი სიფხიზლე, ცხოვრების წესად ჰქონდა გადაქცეული. არც ღალატობდა, არც ალაღატვინებდა, იტყოდა, გააკეთებდა, იტყოდნენ, ისინიც ასე უნდა მოქცეულიყვნენ.

ეს ხასიათის ერთი შტრიხი, ახლა გარეგნული მხარეც გავიხსენოთ. გამორჩეული ჩაცმა იცოდა, მოდას ირგებდა, არ ერგებოდა, ითვისებდა, მისად აქცევდა. ახალს უცებ არ დაყვებოდა, საკუთარ სხეულს შეახამებდა, შეათანწყობდა. კაშნე უყვარდა განსაკუთრებით, მოხდენილად ატარებდა მკერდთან შესკვნილ-შემარყუყუებულს, ოდნავ ქრელი ფერისას ამჯობინებდა, არც ჭყეტელას, არც ერთფერს, უფრო ფერთა შეხამებით გამორჩეულს ატარებდა ხოლმე. ქუდიც ასევე საგანგებოდ მისთვის შექმნილ-შეკერილი გეგონებოდა, მისი სხეულის შესადარი, სიარულის მანერას მისადაგებული.

ჰოდა, ამითაც იყო უცხო, „გრანიცული“, გენადი კობახიძეს კიდევ რას გამოაპარებდი—მის მახვილ მზერას, უტყუარ ალლოს ძირითადის, უმთავრესის დაჭერა და ზედაპირზე ამოზიდვა შეეძლო. აქაც ზუსტად მოარტყა:

გრანიცის ყვიჩილი...

კარგი ნათქვამია, ზუსტი, მიგნებული, ოლონდ არა იუმორის შემცველი, შოთა რობაქიძის ამქვეყნიური ყოფნის, მისი განსხვავებულობის დასტურმყოფელი.

შოთა ვლასის ძე რობაქიძე დაიბადა 1929 წლის 6 ივლისს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში. მამა—ვლასი რობაქიძე, სამხედრო ჩინით—ოფიცერი, მენშევიკების არმიაში მსახურობდა. ჩინებული მორუსულე იყო, ერთხანს სოფლის სკოლაში სამხედრო საქმესა და რუსულ ენას ასწავლიდა. ხელსაქმეც ემარჯვებოდა—ხარაზობა იცოდა, ჩოხა-ახალუხსაც კერავდა, ჩინებული ხმა ჰქონდა, შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და ასრულებდა ქართულ და რუსულ სიმღერებს.

დედა, თამარ ეჯიბაძე, დიასახლისი იყო. ვლასიმ და თამარმა რვა შვილი აღზარდეს. უფროსი—გოგი რობაქიძე ქართველთა სასაკლაოდ წოდებულ ქერჩში დაიღუპა, მომდევნო—შალვა, სკოლას ამთავრებდა, ომი რომ დაიწყო. მშობლებს არ უნდოდათ, პირტიცველა ყმანვილი ფრონტზე გაეშვათ და სამუშაოდ ფეროშენადნობთა ქარხანაში გაამწესეს. აქ მომუშავეებს ჯავშანი ჰქონდათ და ომში არ გზავნიდნენ. ახალგაზრდა ყმანვილის ორგანიზმმა ცხელ ღუმელთან მუშაობა ვერ აიტანა, სახე შეუშუპდა და მშობლებს განუცხადა—გინდ აქ მოვმკვდარვარ, გინდ ფრონტზეო და წავიდა.

შალვასგან გამოგზავნილი ბოლო სამკუთხა ბარათი 1945 წლის 12 აპრილით თარიღდება, იწერებოდა, ბუდაპეშტისაკენ მივდივართ, შინ მალე დავბრუნდებიო. ამის შემდეგ მისი ასავალ-დასავალი დაიკარგა. ის ბარათი დიდხანს ინახებოდა რობაქიძეების ოჯახში, ბოლოს ქალბატონ თამარს ჩაატანეს საფლავეში.

ვლასისა და თამარის დანარჩენი შვილები—შოთა, უჩა, ვაჟა, ნაზი, ქეთო, ლილი ომის ქარცეცხლს გადაურჩნენ, შესაფერი განათლება მიიღეს, დიდებული ოჯახები შექმნეს და ასეთივე შთამომავლები დატოვეს.

შოთა რობაქიძე 1936 წელს შევიდა ზორვეთის რვანლიან სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1944 წელს და სწავლა განაგრძო ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს.

1950 წელს შევიდა და 1954 წელს დაამთავრა ქუთაისის ალ. ნულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. მიენიჭა ფი-

ზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1954 წელს განაწილებით გაგზავნეს ბოსლევის საშუალო სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, მაგრამ განაწილება მალე შეუცვალეს და იგივე თანამდებობაზე 1954 წლის 20 აგვისტოდან მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში.

1984 წელს დაჯილდოვდა სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. კომუნისტური პარტიის წევრი არასდროს ყოფილა. შოთა რობაქიძის ავტორიტეტის მქონე კაცს პარტიის წევრობა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არ ჰქონდა სურვილი და რაც არ სურდა, იმას ვერავინ და ვერაფერი გააკეთებინებდა.

1984 წლის საატესტაციო კომისიის დასკვნაში წერია: „ღრმად და საფუძვლიანად ფლობს საგანს. მთელი პაუზის-მგებლობით ემზადება ყველა გაკვეთილისათვის, მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, საფუძვლიანად იცნობს სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, აქვს კარგი პედაგოგიური ტაქტი და თბილ დამოკიდებულებაშია მოსწავლეებთან და პედაგოგულექტივის წევრებთან. მაღალ დონეზე ატარებს შიგასასკოლო და რაიონულ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში“ და ა.შ.

ეს სქემატური ცნობებია შოთა რობაქიძის ამქვეყნად ყოფნისა, მისი ცხოვრება კი უფრო ფართო იყო და მდიდრული. თანაკურსელი მიხეილ ზარნაძე იგონებს: „ვაჟკაცი გახლდათ, ფიზიკურად ძლიერი და ამტანი. განსაკუთრებით

მძლეოსნობა იზიდავდა. ბადროს ტყორცნაში ბადალი არ ჰყავდა, უკვირდათ, ისე ოსტატურად ისროდა, ოსტატურად და შორ მანძილზეც... მახსოვს, „დინამოს“ სტადიონზე ვართ, მეორე ან მესამე კურსზე ვიქნებოდით. შოთა რობაქიძე ამ დროს უკვე გამორჩეული სპორტული შესაძლებლობების სტუდენტად ითვლებოდა. სტადიონზე, ჩვენგან საკმაოდ დაშორებით, დაბრკოლებათა ზოლი იყო, უფრო გასაგებად, წყლით ამოვსებული თხრილი. ისროლა შოთამ და იმ თხრილში მოადენინა ზღართანი, მაგრამ შორს ტყორცნა არაა მთავარი, ბადრო ისე ბრუნავდა, წყლიანი თხრილიდან ბრუნვით ამოხტა და კარგა მოშორებით გადავარდა.

ყველას გაგვიკვირდა, თანატოლებს, მასწავლებლებს. უთხრეს, გაიმეორეო, გაიმეორა, მერე უფრო შორს ტყორცნა, თან ისე, რომ მინაზე დავარდნილიც ცოტა ხანს ბრუნავდა, ტრიალებდა....

იშვიათი იყო ასეთი რამ. ბირთვისა და ბადროს ტყორცნაში (საერთოდ, მძლეოსნობაში) საქართველოს პირველობა ტარდებოდა. პასპორტი სახლში დარჩენოდა. არადა, უსაბუთოდ ვინ დაუშვებდა შეჯიბრზე. მისი მოცდენა არ შეიძლებოდა, უნდა ევარჯიშა. შეჯიბრი თბილისში ტარდებოდა. აქეთ, დასავლეთში გადაუღებლად თოვდა, მანქანები არ მოძრაობდნენ, ისეთი ამინდი იყო, ძალღს რომ არ გააგდებს კაცი გარეთ. შოთას მშობლიურ სოფელში—ზოვრეთში ქარ-ყინვაში, თოვლში ფეხით ავედი, იქიდან მატარებელს გამოვყევი და ჩამოვუტანე პასპორტი. მივდიოდი და ვფიქრობდი, ვაითუ გამიჭირდეს ასვლა, ვაითუ დავალაგო, თან ეს ფიქრი არ მშორდება, თან გადაუღებელი თოვა მიშხამავს გუნებას, მივდივარ, გზა გრძელდება, რომ მეგონა, შუადღემდე ავიდოდი, სამხრობა იყო და ისევ თოვ-

ლში მივაბოტებდი. იქამდე ავალწევ, მაგრამ იქიდან ჩამოსვლა აღარ გინდა. მთავარია, პასპორტი ჩამოვიტანო, თორემ მარტო აქედან იქ ასვლას რა აზრი აქვს, იქიდან აქეთაც უნდა ჩამოვიდე, თანაც დროზე. ბედად, იქიდან მომავალს, სარკინიგზო მიმოსვლა აღდგენილი დამხვდა და ჩამოვედი. წავიდა შეჯიბრზე, საოცარი შედეგები აჩვენა, მაგრამ რად გინდა?! მაშინაც იყო მიდგომა, მიკერძოება, სხვას, შოთაზე ათასჯერ სუსტს, გამარჯვებინეს, ჩვენი ფალავანი კი ქების სიგელს დააჯერეს.

ეჰ, რამდენი რამის გახსენება შეიძლება!...

ფასის მთაზე სტუდენტური ალპინიადა ტარდებოდა, შოთა აქაც პირველი იყო. რამდენიმე თანაკურსელმა ვერც გაბედა ასვლა, ავადმყოფობა მოიმიზეზა, შოთა იქაც ავიდა და სამაშველო რაზმშიც მიიღო მონაწილეობა. მისთვის სპორტი ცხოვრების მიზანი იყო. სხვები ფიზიკური კულტურის, როგორც მეცნიერების, საფუძვლებს ეუფლებოდნენ მარტო, შოთა რობაქიძე ამასაც აკეთებდა, სპორტსმენიც იყო. საკუთარ თავზე ცდიდა გამარჯვების სიხარულსა და დამარცხების სინანულს. ერთი კარგი მწვრთნელი ჭირდებოდა და დიდ წარმატებებს მიაღწევდა, ჩინებული სპორტსმენი გახდებოდა.

ჩემზე ახლო მეგობარი, გულშემატკივარი არ ჰყავდა. მეზობელი რაიონებიდან ვიყავით, მე—თერჯოლიდან, ის—ზესტაფონიდან, ალბათ ამიტომაც ვმეგობრობდით, ვძმაკაცობდით,— ოთხი წელიწადი, მთელი სტუდენტობა, ერთ ბინაში გავატარეთ.

ერთ კურიოზსაც გავიხსენებ.

სტიპენდია ავიღეთ, პატარა წავუქეიფეთ. მეგობრებმა დროგი დაიქირავეს, რამდენიმე დასკუბდა ზედ და პატრონიანად ძველი „სოიუზტრანსისაკენ“ გააქანეს. ემძიმა ცხენს

ამოდენა ტვირთი, მძიმეც იყო, თან ჭენებას აძალებდნენ მგზავრები. ერთი მონაკვეთი მშვიდობიანად გაირბინა, საცაა, „სოიუზტრანსს“ უნდა გაცდენოდა, რომ ფეხი ნაუფორხილდა, ნაუფორხილდა და ჩაიჩოქა, პატრონი და მგზავრები ყირაზე გადაუშვა. ესენი სწრაფად წამოხტნენ, მარა გაჯიუტებული „ბედაურის“ წამოყენება არ გინდა?! მთავარი ამნევი შოთა იყო, საოცარი ძალა ჰქონდა, ხელი მოჰკიდა და დროგიანცხენიანად აიტაცა ჰაერში. არ გახლდათ ეს პატარა საქმე, ცხენ-დროგი საკმაოდ მძიმე იქნებოდა, შოთამ კიდევ ბუმბულივით წამოჰკრა ხელი და აზიდა.

იყო ასეთი ამბებიც...

ისედაც ცოტანი დავრჩით—შოთა ყველა მათგანიდან განირჩეოდა. მისი გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე ტელევიზიით, გულში რალაც ჩამწყდა. არ შემეძლო, არ ნავსულიყავი. მეორე დღეს ქალიშვილის ქორნილი მქონდა, მაგრამ მაინც მოვახერხე ზოვრეთში ასვლა და ჭირისუფალთათვის მისამძიმრება. მათ ოჯახის მამა, სკოლამ შესანიშნავი პედაგოგი, მე კიდევ ახლო მეგობარი დავკარგე“.

ეს თქვა და თვალები აუნყლიანდა, გუნება შეეცვალა, ერთბაშად დადუმდა, ფიქრებმა წაიღო 75 წლის ჭარმაგი, მაგრამ მაინც ახალგაზრდული ენერგიით დამუხტული მიხეილ ზარნაძე. კარგი კაცი იყო—ამოიხვნეშა და უფრო მოეძალა სევდა: „ავიდოდი, ინდაურს დაკლავდა, ვიქეიფებდით, მე—ჩემსას, ის თავისას იტყოდა, ხშირად ვერ ვნახულობდით ერთმანეთს, ამიტომ სათქმელიც ბლომად გვქონდა. სპეციალობისათვის არ გვიღალატნია, ზოგიერთმა ჩვენმა თანაკურსელმა და მეგობარმა სხვა, უფრო სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი, ჩვენ—არა, ორივე ვმასწავლებლობდით. მე ახლაც ვენევი ამ ჭაპანს, რა ვქნა, ვფიქ-

რობ, ჯერ კიდევ შემოძლია... ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისიც შეძლებდა, მარტო მისი გამოცდილება და წლების მანძილზე შექმნილი პროფესიული ჩვევები რად ღირდა?! რომელი სკოლა იტყოდა ასეთ პედაგოგზე უარს?!

ეჰ, ძალიან ცოტანი დავრჩით, ახლა ფიქრსაც ველარ განდობ ვინმეს—ამბობს და უფრო უწყლიანდება თვალები, არადა, თავიდან რა სისხარტე, სიმკვირცხლე გამოსჭვიოდა მათში, ვერ იფიქრებდი, ამ ხნისა თუ იყო, მისი მზერა, გამომეტყველება თვალებისა, საოცრად აახალგაზრდავებდა, ახლა ასაკიც დაეტყო, დაფიქრიანდა ბერიკაცი, გამორჩეული მეგობრის—შოთა რობაქიძის ამქვეყნად არყოფნის გააზრებამ დააძაბუნა.

შოთა რობაქიძის განსაკუთრებულ სპორტულ შესაძლებლობებზე ყველას შეეძლო ეთქვა, მაგრამ მიხეილ ზარნაძის საუბარი მაინც სხვა იყო, ომისშემდგომი წლების სპორტულ შეჯიბრთა გახსენებას, მათში ჩვენი მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობას სხვა ხიბლი ჰქონდა.

გამორჩეულად ტყორცნიდა ბირთვს, ბადროს, სტუდენტური სპარტაკიადის არაერთგზის გამარჯვებული, ქუთაისის საქალაქო პირველობის ჩემპიონი საოცრად იყო დაოსტატებული ამ სახეობაში. ძმისშვილი გოჩა რობაქიძე იხსენებს: „სვანეთში ყოფილან, იქ ბადრო ან ბირთვი სად ექნებოდათ, კაი დოყათიანი ქვა შეურჩევიათ და იმის სროლაში შეჯიბრებიან ერთმანეთს. ერთ-ერთი სვანი ჯობნის თურმე ყველას. ისროლა და მის ნიშნულს ვერავინ მიუახლოვდა, მერე ისე გათამამებულა, დამდგარა ამ ნიშნულთან და ღიმილით ადევენებს თურმე თვალს მის წინ სამიოთხი მეტრის დაცილებით დავარდნილ ვეებერთელა ქვას. ბიძაჩემი შეჯიბრში არ მონაწილეობს, სხვები—აქტიურად, მაგრამ რად გინდა?! სვანის ნასროლს ვერაფრით ჯობნი-

ან. ეხვეწებიან ფალავანს, ის თავს იკავებს, ლამის იმერეთ-სვანეთის შეჯიბრად გადაიქცა თურმე თავიდან სახალისოდ დანყებული ქვის სროლა. შოთას თხოვენ, იგი უარზეა, თვითონ ცდიან ბედს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დაითანხმეს მათი სასახელო ფალავანი, დაითანხმეს, აიღო ოვალურად წაგრძელებული ქვა, შეათამაშა ხელში, გვერდი მოუსინჯა, რომლითაც უკეთესად დაიჭერდა, ისევ შეათამაშა და ტყორცნა, მარა რა ტყორცნა, საკმაოზე საკმაოდ გადააცილა იმ სვანის ნიშნულს. მან კიდევ ჩამუხვლა მოასწრო, თორემ დაშავდებოდა. გაკვირდნენ იქ მყოფნი, აქაურნიც, იქაურნიც, ეს უკანასკნელნი უფრო—ჩვენი დღე და მოსწრება ქვას ვისვრით, ეს რა გვიყო, რამოდენაზე ტყორცნა, სპორტსმენია ნალდად, მაგრამ მაინც უნდა ვაჯობოთ, უფრო შორს უნდა მოვისროლოთ, მოსულს როგორ გავამარჯვებინებთო. ჰოდა, დაუნყიათ ვარჯიში, ტყორცნიდნენ გამალებით, ყინით, ალტკინებით, მაგრამ იმ ნერტილს ოდნავადაც ვერ აახლოვებდნენ. ისევ ხელახლა იწყებდნენ ვარჯიშს, იმ იმედით, სტუმრისათვის ეჯობნათ, უშედეგოდ. ისროდნენ კაი ხელაზე, მაგრამ იმდენაზე ვერა, ბიძაჩემმა რომ მონიშნა.

ჩვენი დღე და მოსწრება ქვას ვისვრით, ჩვენი მჯობნი არავინ გვეგულებოდა, ეს ვინ გამოჩნდა, რა გვიქნა, როგორ დაგვჯაბნაო—ფიქრობდნენ.

ისინი თავიანთი დღე და მოსწრება ისროდნენ, შოთა რობაქიძე ბადროს ტყორცნაში ვარჯიშობდა და ქვის სროლა როგორ გაუჭირდებოდა. ისროლა და დააშინა იქ მყოფნი—უცებ ამალღდა თურმე მათ თვალში, სხვებს ყურადღებას არ აქცევდნენ, ამას ელაციცხაფიფებოდნენ...

მთელი ღამე ვარჯიშობდნენ, იყო ქვების შხუილი, გამეცებით სროლა, მკლავის ამოგდებამდე გატყორცნა დოყა-

თიანი ლოდისა. იყო, მაგრამ არა ისეთი, ბიძაჩემმა რომ შეასრულა ჩვეულებრივად, კუნთის დაუჭიმავად, დაძაბვის გარეშე. ვარჯიშობდნენ, შოთა რობაქიძეს ვერ ჯობნიდნენ.

მაშინ არც „რეკორდი“ იყო გადაღებული, არც ჩეხურიდან გადმოქართულებული ამბავი ვიცოდით, ჰგავს რალაციტ ჩვენგან მოთხრობილი კინოფილმში ნაჩვენებს, თუმცა სხვაობაც დიდია—ჩვენს შემთხვევაში უფრო ვაჟკაცურ შერკინებასთან გვაქვს საქმე, ფილმში—ფსიქოლოგიურ განწყობასთან.“

გვიყვება გოჩა რობაქიძე სვანეთში გადამხდარ თავგადასავალს ბიძამისისა და ელიმება, თითქოს ხედავს, როგორ ტყორცნის სახელოვანი ბადროსმტყორცნელი ქვას, ტყორცნის და ყველას აკვირვებს, სხვებისაგან მიუღწეველ შედეგს აჩვენებს...

ბავშვობაშიც ძლიერი ყოფილა ფიზიკურად, ძლიერი, ძვალმსხვილი, კუნთმაგარი და მოქნილი. ღონე იქნებ სხვას უფრო მეტი ჰქონოდა, მაგრამ შოთა რობაქიძემ იცოდა, როგორ გამოეყენებინა იგი, საითკენ წარემართა სასურველი შედეგის მისაღწევად.

თბილისში ბიძაშვილი სწავლობდა, მის მოსანახულებლად გაუგზავნიათ. მამას—ვლასი რობაქიძეს, ვეებერთელა ხურჯინი გაუმზადებია, ტიკიც შიგ მოუთავსებია, სურსათიც, სანოვაგეც, ათასნაირი ხორაგიც (უყვარდა ეს სიტყვა), მძიმე ყოფილა ერთობ, მაგრამ შოთა რობაქიძისათვის არა, ის მსუბუქად, მჩატედ ატარებდა თურმე, ისე ბუნებრივად და ფარფატიტ მიჰქონდა ზურგზე მოგდებული ხურჯინი, გეგონებოდა, სხვა დროსაც ამოდენა ტვირთაკიდებული დაიარებაო.

მიდიოდა ლალად, თავისუფლად, სხვა წელში გაიდრიკებოდა, ნაბიჯს ვერ გადადგამდა, ის ჩვეულებრივად მი-

უყვებოდა სოფლის თემშარას. ჩასულა ზესტაფონში, იქიდან მატარებლით თბილისში, მაგრამ ბიძაშვილი ისეთ ადგილზე ცხოვრობდა, ფეხით კაიხელა მანძილი უნდა გაევილო. ჰოდა, მოუგდია ზურგზე ხურჯინი და გადგომია გზას. მიდის თავისთვის, დინჯად, მშვიდად. გამვლელები აკვირდებიან, ატყობენ, სოფლიდან ჩასული რომაა, უხარიათ ამოდენა ტვირთაკიდებული ახალგაზრდა ასე თავისუფლად რომ მიალაჯებს, ის მიდის, არავის და არაფერს აქცევს ყურადღებას. სხვები—პირიქით, ათვალეიერებენ, ზომავენ, წონიან, ვილაც ბიჭები აედევნენ. ატყობენ, დიდი ტვირთი მიაქვს, ფიქრობენ, სადლაც შეისვენებს და წაართმევენ ხურჯინს. ის მიდის, არ ჩერდება, ნაბიჯს არც აგრძელებს, არც ამოკლებს, მიდის ისე, როგორც ჩვეოდა. ბოლოს გადაეწურათ იმედი, იფიქრეს, არ შეჩერდებო და აუჩქარეს ნაბიჯს. შოთა ისევ ისე, დინჯად მიალაჯებს, ესენი აჩქარებით, გრძნობს წინ მიმავალი უკანდადევნებულთა მიახლოებას. სულ უფრო ახლოდან ესმის ნაბიჯების ხმა, საცაა დაენევიან, თან ბლომად არიან, ერთი იყოს, ორი, სამი, ოთხიც ჯანდაბას, მოუვლის, გაუსწორდება, მაგრამ ბარე ათიც იქნებიან, ერთმანეთში ირევა ფეხსაცმელების თქარათქური. მიდიან ჩქარა, ის ნელა მიდის და რომ იგრძნო, იგრძნო კი არა, დაინახა, სხეულით დაინახა, რომ გაუსწორდნენ, წინ შემხვედრ ორ სანდომიან მამაკაცს მიესალმა ჩვენი მგზავრი. ისინიც მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს მისალმება, უკანდადევნებულ მგლის ხროვასავით თავშეყრილ ბიჭებისგან რომ უნდოდა თავის დაცვა. მიესალმნენ, ხელის ჩამოსართმევადაც გაიწიეს, შოთა რობაქიძემაც გაუნია ფართე მარჯვენა. ბუნებრივია, შეყოვნდა, დადევნებულებმა გზა განაგრძეს. იმ მამაკაცთაგან ერთი გაეცნო კიდევ—უნივერსიტეტის ლექტორი ვარო, შემხვედრმაც გაუმხილა ვინაობა.

მერე იმ კაცმა მარჯვენა გააშლევინა და მეორეს უთხრა:

—ა, ბიჭო, ქართველი, ა, ერეკლეს მკლავი, ხარ-კამეჩმა რომ წაიჩოქოს, ვერ გასწევს მის მაგივრობას?!

—გასწევს და და ლაფში ჩაფლული ურემიც ხშირად ექნება ამოტანილი,—დაუდასტურა მეორემ.

—ღმერთმა გახაროს, შვილო,—ხურჯინზე წამოარტყა ხელი პირველმა, უნივერსიტეტის ლექტორად რომ გაეცნო.

—გმადლობთ, ბატონო!

—საიდან ხარ?!—შეეკითხა მეორე.

—იმერეთიდან, ზესტაფონის რაიონში სოფელი ზოვრეთია, იქიდან...

—მე კიდევ კახელი მეგონე—უნივერსიტეტის ლექტორმა თვალები მონკურა და დაკვირვებით აათვალ-ჩაათვალიერა.

—ხომ გითხარი, იმერეთიდან იქნება-მეთქი, სიარულით ვცნობ ჩვენებურებს, —გაულიმა მეორემ პირველს.

—მთავარია, ქართველია, ასეთით ვამაყობდით და ვამაყობთ, ამნაირებმა მოგვიყვანეს დღემდე.

—ხომ არ გაგაცვილოთ, იმერელო?—მეორემ.

—არა,—დაიმორცხვა ზურგზე ხურჯინგადაკიდებულმა ჩვენმა მგზავრმა.

—აბა, გასწი, ნურაფრის გეშინია, რომ მოგენდომებინა, იმ ბიჭებს თავ-პირს დაუნაყავდი, მაგრამ არ ინდომე, იმერულმა ზრდილობამ დაგძლია,—სიცილით უთხრა უნივერსიტეტის ლექტორმა.

შოთა დაემშვიდობა შემხვედრ მამაკაცებს და გზას გაუდგა. წავიდა, მაგრამ კვლავ სხეულით გრძნობდა, რომ უყურებდნენ, უთვალთვალებდნენ. გაიარა ასი—ორასი მეტრი და ნაძლია სულმა, უკან მოიხედა და დაინახა, ის ორი მამაკაცი იმავე ადგილას იდგა, წინ მიმავალ შოთა რობაქიძეზე მზერამიპყრობილი.

გაეხარდა, დაიმორცხვა და აუჩქარა ნაბიჯს. ეს ამბავიც გოჩა რობაქიძემ მოგვითხრო, ბიძამისს მოუყოლია ასე ხატოვნად და შთამბეჭდავად. ბავშვობაში თავსგადამხდარი ხომ საოცრად ამახსოვრდება ადამიანს, უმცირესი დეტალიც არ გამორჩება, მცირე ნიუანსიც რჩება გონებაში, ილექება მეხსიერებაში. შოთა რობაქიძეს მოეთხრო მისთვის, ის კიდევ ჩვენ მოგვიყვა და ნათლად დაგვანახა, როგორი ვაჟკაცი, რაინდული ბუნების პიროვნება იყო შოთა რობაქიძე, როგორ გაურბოდა ჩხუბს, აყალმაყალს, ძალა კი ჰქონდა, მაგრამ იმისთვის კი არა, ვინმე დაეჩაგრა, დაენიხლა, პირიქით, სურდა დაჩაგრულ-დანიხლული ფეხზე დაეყენებინა, მიხმარებოდა, მიშველებოდა.

გამოსავალის მოძებნაც რარიგ იცოდა, უცებ შეამჩნევდა, აღმოაჩენდა აღმოსაჩენს, სხვისთვის შეუმჩნეველი მისთვის შესამჩნევი იყო. ჩხუბს რომ გარიდებოდა, უკანადევნებულნი ქუჩის ბიჭები მოეცილებინა, შემხვედრ ორ მამაკაცს მიესალმა, ზრდილობიანად, იმერული გამორჩეული კდემამოსილებით დაუკრა თავი და ისინიც მსწრაფლ მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. ამას მოყვა დიალოგიც—სულ ამბობდა, ყმანვილი ვიყავი, თორემ იმ სანდომიან მამაკაცებს ახლოს გავიცნობდი და რა იცი, იქნებ მომავალში მეგობრებიც გავმხდარიყავით, მაგრამ ამას მაშინ რარიგ გავბედავდი, სად ისინი, და სად—მეო—გვეუბნება გოჩა.

შოთა რობაქიძე შემხვედრთა სიკეთემ, მიხვედრილობამ, ისინი კიდევ მგზავრის ახოვანებამ, გამორჩეულმა ფიზიკურმა აღნაგობამ მოხიბლა. მათ გაამჟღავნეს, რაც იფიქრეს, შოთამ ვერა. იქნებ ამაზე ნყდებოდა გული, ჭაბუკური სიმორცხვის გამო ვერ გაბედა მათით აღტაცება გამოეხატა, ხეირიანად ეთქვა მადლობა, მზერით კი უთხრა სათქმელი, თვალებით გაუმჟღავნა გულისნადები. ამიტომაც იდგნენ

ისინი და თვალს ადევნებდნენ, როგორ მიდიოდა ხურჯინიანი ახალგაზრდა, სხვა ხიფათი ხომ არსაიდან ჩანდა. იდგნენ და უცქერდნენ კაი ხანს იმ ყმანვილს, რომელმაც მოხერხებულად აირიდა ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა, აშკარად დაჯაბნიდა ბევრს, მაგრამ გაცლა ამჯობინა, რადგან კარგად უწყოდა, ვის მოუზომავს მოქნეული.

ისევ ჰენლაინი

ზემოთ ჰენლაინი შემთხვევით არ გვიხსენებია. იგი ნიურნბერგელი მექანიკოსი იყო. 1410 წელს მან პირველად გამოიყენა ფოლადის ზამბარა და შექმნა შპინდელის მექანიზმიანი ჯიბის საათი, რომლის ჩვენების სიზუსტე ზამბარის მომართვის ხარისხზე იყო დამოკიდებული. რატომ უყვარდა ეს ჰენლაინი შოთა რობაქიძეს, არ გვითქვამს და ახლა უნდა გავამხილოთ.

ჩინებული მესაათე იყო—აკეთებდა, არემონტებდა, დიზაინს უცვლიდა, ერთის მექანიზმი მეორეში გადაჰქონდა და პირუკუ... თავისებური გემოვნებით ქმნიდა ახალ საათს, რომელიც უკვე აღარ იყო ქარხნული წარმოების, მათი დეტალების ორიგინალური შეთანწყობით იყო შექმნილი.

უყვარდა საათი, არემონტებდა, ქმნიდა ახალს, იცოდა ამ საქმის ყველაფერი, ახალს დაშლიდა, დააკვირდებოდა, შეისწავლიდა, ააწყობდა. თვითონაც საათივით ზუსტი იყო, ჰენლაინივით ვერ იტანდა წინგასწრებულ ან უკან ჩამორჩენილ დროის გასაზომ ხელსაწყოს. ამიტომ არემონტებდა, უზუსტესს ხდიდა სიზუსტისათვის მოგონილ ნივთს.

სტუდენტობის დროს შეისწავლა მესაათეობაო—გვიყვებიან. შეისწავლა და ისე მოხიბლა, გაიტაცა ამ საქმემ, მთელი ცხოვრება ერთგულეობდა, უკირკიტებდა, სწავლობდა ახალს, სიახლე არ გამოორჩებოდა მხედველობიდან, არ ივინყებდა ძველსაც და ხშირად ამ ორის—ძველ-ახლის შეერთებით ქმნიდა თავისებურ საათებს.

სტუდენტობის დროს შეისწავლაო...

საათი გაფუჭებია, იმ ქუჩაზე, სადაც ინსტიტუტი იყო, ვილაც ბორია მესაათე ყოფილა, მიუტანია, გაუკეთებია, ერთი დღის შემდეგ ისევ აურევია დროის საზომ ხელსაწყოს, ისევ მიუტანია, გაუკეთებია ებრაელ ბორიას. გასულა ერთი ან ორი დღე და კვლავ გაფუჭებულია საათი... მისულა გამკეთებელთან, მითხარი, გაკეთდება თუ არაო—უთქვამს. მას კიდევ, მე რომ არ მანვალო, დაგენაცვლე, ამის გასწორებას რა უნდაო—დაუკვირვებია, უთქვამს ეს ასე, ის ისე ჰქენიო და შოთაც ჩავარდნილა ინტერესში. მეოთხედ და მეხუთედ გაფუჭებული საათი თვითონ გაუკეთებია, მერე სხვა რამეც არევია, იმაზეც მისულა მესაათესთან, ისიც უსწავლებია იმ დალოცვილ ებრაელს.

ასე გასჩენია ინტერესი.

ბორია მესაათე არა, მაგრამ ქუთაისში ძველი კიროვის (ახლა თამარ მეფის) ქუჩაზე რომ იაკობა მესაათე იყო, ის კარგად გვახსოვს. რა დაგვაინწყებს—ერთხელ შევესწართ, კეტავს „ცეხს“, აჩქარებული, აცეცებული ატრიალებს გასაღებს, ცქმუტავს, შუადღის 12 საათია, ასე ადრე სად უნდა მიეჩქარებოდეს. დაკეტა, მიაბოქლომა დუქანი და ვილაც შეეკითხა:

—საით მიიჩქარი, იაკობ?!

—სახლში.

—ხომ მშვიდობაა...

—კი, დაგენაცვლე, ამ დილით პრეზიდენტმა გამოაცხადა, ერთმა დიდმა სახელმწიფომ გვალიარა და პირველ საათზე გავახმიანებთ ამ ამბავსო, წავალ სახლში, წყნარად, მშვიდად მოვისმენ....

—აქ მოგესმინა, შე კაცო...

—არა, სახლში ჯობია...

მეორე დღეს მთელ ქუთაისს ეცოდინება იაკობის ნათქვამი.

—რა ქენი, იაკობ, მოუსმინე პრეზიდენტს?!

—კი, დაგენაცვლე, უკრაინას ვუღიარებოვართ, დიდი კია, მაგრამ თვითონაა საღიარებელი.

იაკობი, ბორია მესაათეს მემკვიდრე, პროფესიით ისტორიკოსი, ერთი დღეც რომ არ უმუშავნია თავისი სპეციალობით, ახლა ისრაელში ცხოვრობს. იქ დაუფკავშირდით, კაი ხნის წინათ გარდაცვლილ ბორია მესაათეზე, იმ კაცზე, შოთა რობაქიძეს საათის კეთების ინტერესი რომ გაუჩინა, რომ ეთქვა რამე.

აი, მისი ნაამბობი: საოცარი კაცი იყო. იუმორის გრძნობა გააჩნდა, საათი თუ აღარ გაკეთდებოდა, კლიენტს ეტყოდა, მომდურებული მეზობელი გეყოლება და გადაუგდე ეზოშიო. ასეთი შემთხვევაც მრავლად იყო. საბჭოთა საათებს რალაც მექანიზმი ხშირად უზიანდებოდა. გააკეთებდა ბორია და მეორე დღეს ისევ გასაკეთებელი იყო, ისევ გააკეთებდა, გაფუჭდებოდა და კვლავ მიუტანდნენ. არადა, ხელმეორედ ან ხელმესამედ გაკეთებაში ფულს არავინ აძლევდა. იძულებული იყო, ესნავლებინა, როცა გაფუჭდეს, ეს ასე, ის ისე ჰქენი და გაკეთდებო. ბევრი იქცეოდა მის დარიგებისამებრ, ზოგმა მართლაც ისნავლა ხელობა. შოთა რობაქიძე... ასეთ მესაათეს არ ვიცნობ (საიდან უნდა ცოდნოდა—ავტორები). ისე ბორია კაი კაცი და კაი მესაათე იყო...

ჰოდა, შოთა რობაქიძეს, ჩვენს სათაყვანო მასწავლებელსა და აღმზრდელს სწორედ ბორია მესაათესგან უსწავლია ხელობის ანბანი. მერე თვითონ ჩაკვირებია, ჩაკირკიტებია (იყო ასეთი ტიპი) ამ საქმეს და სრულყოფილად დაუფლებია. საერთოდ, რასაც ხელს მოჰკიდებდა, სრულყოფდა, შუა გზაზე საქმის მიტოვება არ უყვარდა.

ერთი დიდი განსხვავება აქვე გავამყლავნოთ: ბორია მესაათე იმიტომ ასწავლიდა საათის ანბანს მეორედ ან მესამედ მოსულ კლიენტს, რომ ფულს არავინ აძლევდა, უფულოდ რამეს გაკეთება კი არ უყვარდა. შოთა რობაქიძე არ გამოადგა ამ საქმეში. არასდროს არავისგან საათის გაკეთებაში თეთრიც არ აუღია, გასამრჯელოს გარეშე არემონტებდა, პირიქით, უხაროდა, გაფუჭებულ საათს რომ მიუტანდნენ გასაკეთებლად. ამ მხრივ მართლაც არ ჰგავდა ბორიას, ქართველი ებრაელს როგორ დაემგვანებოდა..

შოთა რობაქიძის მეუღლემ—ქალბატონმა ინგა ფანჩულიძემ მოგვითხრო:

მოვიდოდა სკოლიდან, დაღლილი, დაქანცული, საჭმელიც არ გაახსენდებოდა, გაშლიდა საათის მექანიზმებს, სხვადასხვა ნაწილებს და საათობით ჩაკირკიტებდა მათ. წავიდოდა მეორე დილით, მაგიდაზე მიმოზნეულ ნაწილებს გაზეთს გადააფარებდა და ასე დატოვებდა. ვერავინ მიეკარებოდა, გაზეთი ოდნავადაც რომ გაგენძრია, მიხვდებოდა, ხელი გიხლიათო—გვეტყოდა.

ეს გატაცებაც იყო, მის ხასიათს მორგებული საქმიანობაც—უყვარდა ერთიან სისტემაში მოქცეული მოწყობილობები, თვითონაც ხომ ასეთი იყო—ზუსტი, სისტემური, არც წინ გამსწრები კაცი მოსწონდა (რა თქმა უნდა, შეჯიბრს არ ვგულისხმობთ), არც უკან ჩამორჩენილი—არც წინ უნდა გისწრებდეს ენა, მუნჯიც არ უნდა იყო—იცოდა თქმა.

თვითონ მართლაც ასეთი იყო, საათივით მომართული, მართალი, და უტყუარი.

ახლანდელ სანკტ-პეტერბურგში, მაშინდელ ლენინგრადში ჩუქურთმებიანი საათი უნახავს, დიდი, კარადისხელა ყოფილა. უნახავს და ველარ მოშორებია. სამკურნალოდ წასული საათობით იჯდა თურმე ამ მალაზიაში და

უყურებდა, ათვლიერებდა, აკვირდებოდა. ნეტავ, ეს მაყიდვინაო—ფიქრობდა. ძვირი, საოცრად ძვირი, ერთი სახლის ფასი ღირებულა. ფული რომ მქონოდა, არც დავფიქრდებოდი, არც სახლი მქონდა, არც კარი, მაგრამ უნიკალური საათი ხომ მექნებოდა, ბედნიერი ვიქნებოდი, — ეუბნებოდა ხშირად თურმე მეუღლეს.

სახლ-კარს ერჩია ის საათი, იმის გამო, რომ იცოდა მისი ფასი. უწყოდა, რაოდენ გამორჩეული და უნიკალური იყო.

ხშირად იხსენებდა ამ ამბავს და უჩიოდა უფულობას.

უნდოდა, შეეძინა ის უნიკალური საათი, ვერ შეიძინა.

საათების ისტორიაც ხომ ჩინებულად იცოდა. საერთოდ, ასეთი იყო, რაც დააინტერესებდა, ღდინამდე ჩაყვებოდა, შეუცნობს და შეუსწავლელს არაფერს დატოვებდა.

ჰენლაინსაც რა რებუსულად ჩაურთავდა ხოლმე დიალოგში. იმან იცოდა, შენც უნდა გცოდნოდა.

არ იცით, ვინაა ჰენლაინიო,—გეტყოდა და გაგიჩენდა თავსატეხს.

ჩანაწერებში გამხედილი ფიქრები

შოთა რობაქიძეს უამრავი ჩანაწერი დარჩა, უბის წიგნაკები აჭრელებულია სხვადასხვა ფერის მელნით, საერთოდ, ნაწერის ფერს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომ ყოველთვის ოთხფერიანი ავტოკალამი ჰქონდა. პირადი წერილიც რომ პირადი წერილია, ძალიან ახლო მეგობარს სხვა ფერის მელნით, შედარებით შორებელს სხვა ფერით დაწერილს უგზავნიდა. არის წერილები (უფრო ჩანაწერები) ბრძანების ტონს რომ შეიცავენ და ისინი წითელი მელნითაა შესრულებული. ნიშანსაც ასევე, სხვადასხვა ფერის მელნით წერდა—კარგ ხუთიანს ცისფრად, ხუთიანთან მიახლოებულს წითლად და ა.შ.

უბის წიგნაკებში მრავლადაა მოსწავლეთა დახასიათებები. მათი თვალის გადავლებაც საკმარისია იმისათვის, გაიგო, როგორ შეუცდომლად იცნობდა მათი დამწერი ადრესატს. დახასიათება, მოსწავლის სამერმისო პერსპექტივა ისე სრულყოფილად აქვს მოცემული, გეგონება, წინასწარ ჭკრეტდა მომავალს და აქედან გამომდინარე აკეთებდა ასეთ ჩანაწერს.

უბის წიგნაკებში მრავლადაა გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები, ერთი და იგივეც ხშირად მეორდება. აქვეა ცნობილ სპორტსმენტა ბიოგრაფიის შთამბეჭდავი მომენტები, რაც განსაკუთრებით მოწონდა, წითელი ფერის მელნით აქვს ხაზგასმული. არის უცნაური გააზრებაც, ნიშანდობლივი რომ იყო მხოლოდ მისი აზროვნებისათვის. ნიცშეს ცნობილი გამონათქვამისათვის „—უნდა ატარო შენს

სულში ქაოსი, მოკაშკაშე ვარსკვლავი რომ დაბადო,“ მიუნერია: „ეს ზედგამოჭრილია სპორტსმენისათვის, შეჯიბრის წინ სიცარიელით უნდა იყო სავსე, რომ იგი გამარჯვებით ამოავსო, გამარჯვება ქაოსის მონათვლაა, სიცარიელისათვის სახელის დარქმევია.“ ალბათ ზარატუსტრას ავტორის ეს ფრთიანი ფრაზა ასე არავის გაუაზრებია, მაგრამ მისი გენიალურობაც ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ადამიანი თავისებურად კითხულობს და აღიქვამს. შოთა რობაქიძესაც ორიგინალურად აქვს ნაკითხული.

გაზეთში ერთ-ერთი სტატიის სათაური მოწონებია— „ხევსურს ერთი აქვს ფიქრი და ისიც საქართველოა“. ამოუჭრია „საქართველოს რესპუბლიკიდან“ ხევსურეთის პრობლემებზე მიძღვნილი ეს წერილი, სათაური უბის წიგნაკშიც გადაუტანია და იქვე მიუნერია: „ხევსური და ქართველი ერთი და იგივეა, კარგი ქართველის ფიქრიც საქართველოა, ცუდი ნურც აფიქროს გამჩენმა სამშობლოზე“. აი, ასე ფიქრობდა შოთა რობაქიძე, ამ განცდით უყვარდა მამული თვისი.

ერთ-ერთ ჩანაწერს მთლიანად მოვიტანთ:

„1976 წლის 26 სექტემბერი. გაიხსნა თბილისში „დინამოს“ სტადიონი, ლენინის სახელობის, ლენინის სახელობის, ლენინის სახელობის...

ბორის პაიჭაძე?!?!?!?!?!?!?!?! (კიდევ გრძელდება, ორი სტრიქონი კითხვა-ძახილის ნიშნებითაა სავსე, ავტორები)

სლავა მეტრეველი?!

მიხეილ მესხი?!

ავთანდილ ლოლობერიძე?! (ამათ თითო კითხვა-ძახილის ნიშანი უზით ბოლოში ავტ.)

გამოქვეყნდა ი. ნონეშვილის კაი ლექსი:

„ეს ცხოვრება ნუთისოფლის
 სტადიონის სადარია...
 დიახ, ბედთან,
 როგორც ბურთთან
 თამაში აქვს ადამიანს!
 მაშ, მგლის მუხლი მოგვდევს თუკი.
 თვალი — ქორებ ანანთები,
 სიჩაუქის დიდი ფრთები!
 მაშ, ეს მთებიც, ჩვენთან ერთად,
 ავამლეროთ ნება-ნება,
 ცოტანი ვართ,
 მაგრამ ღმერთმა
 გაგვაჩინა ქართველებად!“

ეს ჩანანერი საგანგებოდ მოვიხმეთ. გვინდა, მისი საშუალებით საცნაური გავხადოთ მკითხველისთვის შოთა რობაქიძის ეროვნული მრწამსი, მისი პოზიცია და სულისკვეთება. „დინამოს“ სტადიონს დაარსებისთანავე ლენინის სახელი მიანიჭეს, ვითომ ფეხბურთელი ყოფილიყოს, ან სპორტის ამ სახეობასთან ჰქონოდა რამე საერთო. დრო იყო ასეთი, ყველაფერს ლენინის ან ბოლშევიკების სახელს ანიჭებდნენ. შოთა რობაქიძეს არ გამოორჩენია ეს უკუღმართი ვითარება და იქვე მეორე სტრიქონზე ბორის პაიჭაძის გვარ-სახელისთვის უამრავი კითხვა-ძახილის ნიშანი დაუსვამს, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, თუ არა ის, რომ ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის სახელი მიჩქმალულიყო, მივიწყებულიყო, სტადიონს კი იმ კაცის სახელს ანიჭებდნენ, ვისაც ფეხბურთთან არაფერი ჰქონდა საერთო. იმ დროს ამის თქმა (უფრო სწორად, გამჟღავნება) გამბედაობას მოითხოვდა, ჩვენს მასწავლებელს კი მისთვის ჩვეული მახვილგონიერებით გამოუხატავს ეს პოზიცია.

ბორის პაიჭაძის გვარ-სახელის გასწვრივ მრავალი კი-

თხვა-დახილის ნიშანი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სწორედ იგი იყო ღირსი სტადიონს კუთვნივოდა მისი სახელი, შემდეგ სხვებიც—სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, ავთანდილ ლოლობერიძე, მაგრამ უპირველესად ბორის პაიჭაძე... დღეს სამართლიანობა აღდგენილია, „დინამოს“ სტადიონი სწორედ ამ განუმეორებელი ფეხბურთელის სახელობისაა, მაგრამ ეს ახლა, სამართლიანობის აღდგენას შოთა მასნავლებელიც მოესწრო. იმ დროს გამეფებულ უკულმართ ტენდენციიაზე კი თავისებურად აღიმალა ხმა. იმ ჩანაწერით აშკარად გამოხატა თავისი გულისტკივილიც და ნუხილიც ერისა—სად ლენინი, სად ფეხბურთი, სად თუნდაც ფეხბურთის სტადიონი, ერთი ალთას, მეორე ბალთას და მესამე ალთა-ბალთას იყო, ამ სიტყვების წარმოთქმა სწორედ ამ თანმიმდევრობით ჩვეოდა.

ერთგან ასეთი ჩანაწერია:

„ბავშვობა—საოცარი ხანა. ფრანგი არქიტექტორის კორბუზიეს პროექტებში მრგვალი ოთახები იმიტომ იყო, რომ ბავშვობაში კუთხეში აყენებდნენ და ჩვეულებრივ ოთახებს მრგვალს ამჯობინებდა.

X იტყვის: აი, რატომ უნდა დააყენო მოსწავლე კუთხეში. მართალი იქნებაX.

მე ვამბობ, არ დავაყენებ მოსწავლეს კუთხეში და მეც მართალი ვარ. კორბუზიე ტყუოდა. მე ვამტკიცებ, მრგვალი ოთახები მონონდა და მეტი არაფერი. კალენდარში ნავიკითხე, მართალია, ნეტაი!!!“

ნაიკითხავ ამ სტრიქონებს და დარწმუნდები, რას ფიქრობდა მათი დამწერი, ყოველ ფრაზას საკუთარ პროფესიასთან რომ აკავშირებდა, როგორ სურდა, ამოეხსნა ბავშვის სამყარო, ჩანვდომოდა მის იდუმალ შრეებს. კორბუზიეს ამბავიც შემთხვევით არ აქვს ჩანერილი, უამრავ ამდაგვარს

ნახავდა და წაიკითხავდა, მაგრამ ამან უპირველესად იმიტომ დააინტერესა, რომ ბავშვობასთან, ამ ხანაში განცდილ და გადატანილ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული.

ერთი შეხედვით იმან დააეჭვა, ბავშვი ხანდახან კუთხეშიც უნდა დააყენო, ხედავ, რა პროგრესული სურვილი გაუჩინა ცნობილ არქიტექტორს ამ ფაქტმა. ბავშვობაში ხშირად აყენებდნენ კუთხეში და ამიტომ მრგვალი ოთახები არჩია ჩვეულებრივს. მეორე მხრივ კი თვითონ არასდროს მიმართავდა ამ ხერხს (ბავშვის კუთხეში დაყენებას) და თავი იმით გაიმართლა, რომ კორბუზიეს მრგვალი ოთახები ერჩინა, უფრო მოწონდა და ბავშვობაში განცდილი არაფერ შუაშიაო. ეს მართლაც ასე უნდა იყოს, უბრალოდ, მახვილგონივრული ახსნა მოუძებნა ცნობილმა არქიტექტორმა თავის პროექტებში ხშირად გამეორებულ ერთსა და იმავეს. ჩვენ კი შოთა მასნავლებლის ამ ჩანაწერში ბოლო ფრაზამ მოგვხიბლა უფრო: „კალენდარში წავიკითხე (მძიმე ჩვენ დავსვით, ავტორები), მართალია ნეტაი“ —ეს მის ხასიათს, განწყობას მორგებული ნათქვამია, ეს სიტყვა—ნეტაი—უყვარდა, იმერულად მოუქცევდა მისი წარმოთქმის დროს, თვალებს მონკურავდა და მოგაცქერდებოდა, როგორ განიცდიდი მის ნათქვამს, ხვდებოდი თუ არა, რა შინაარსს დებდა ამ სიტყვაში—ნეტაი გადახტებოდე, ნეტაი მოიგებდეთ... და ა.შ. მისთვის ჩვეული გამოთქმები იყო. ამას რომ გეუბნებოდა, კიდევ გაეჭვებდა, გამარჯვების წყურვილსაც გიღვიძებდა, თან სურვილს გიმხელდა—მინდა, მსურს თქვენი წარმატება და გამარჯვებაო.

ერთგან ჩაუნერია:

„მარიო კემპესი—დიდი ფეხბურთელი, სამი წელი ავად იყო. ვერავინ წარმოიდგენდა, სპორტს თუ დაუბრუნდებოდა. დაუბრუნდა და არგენტინა გახადა ჩემპიონი. ჰქონ-

და ნებისყოფა, სპორტში ნებისყოფაა მთავარი. ამაში კემპესი ძლიერი იყო, მაგრამ არ იცოდა თავისი ფასი, სულ ჩხუბობდა მწვრთნელებთან და თავი გაიფუჭა...”

ის მოწონებია, ნებისყოფა რომ გამოიჩინა, არ შეურიგდა ავადმყოფობას, არ ჩაყვა, არ დაემორჩილა და ისევ სპორტს დაუბრუნდა. 1978 წელს მართლაც მისი დახმარებით გახდა არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ არამყარი ხასიათი რომ ჰქონდა, ეს არ მოწონდა და აღუნიშნავს კიდევ. ამ ჩანაწერისათვის იქვე მიუწერია:

„ბერნსმა ვაჭარი გადაარჩინა დახრჩობას. თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, გადახტა მდინარეში და ამოიყვანა. ვაჭარმა ერთი კაპიკი აჩუქა. გადაირია ხალხი—ეს ფულის ტომარა რა გადასარჩენი იყო, ჯობს, ისევ წყალში ჩააგდო. ბერნსმა უპასუხა—ნუ ცხარობთ, ვაჭარმა მშვენიერად იცის თავისი ფასიო.

ადამიანმა შენი ფასი უნდა იცოდეს, არც დიდად, არც ნაკლებად მოაჩვენო ვინმეს თავი. დიდად მოჩვენება საშიშია“.

როგორ დაუკავშირებია ერთმანეთისათვის ეს ორი განსხვავებული ამბავი. კემპესის ავანტიურისტული ხასიათი და ბერნსს თავსგადამხდარი იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანმა, უპირველესად, თვითონ უნდა შეიცნოს შენი თავი, ნამდვილი წარმოდგენა შეიქმნა, არც დაამცირო, არც განადიდო, კემპესმა კიდევ განადიდა, განდიდების მანიამ კი საერთოდ ჩამოაშორა ფეხბურთს. ავადმყოფობა დაძლია, ნებისყოფა ეყო, გამკლავებოდა, განდიდების სურვილს კი ვერაფერი მოუხერხა, რამაც მისი სპორტული კარიერის დასასრული გამოიწვია.

რატომ ჩავდევთ ასე გამოწვლივით ამ ჩანაწერებს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ შოთა რობაქიძის მსოფლმხედველობასა და ეროვნულ სულისკვეთებაზე შევუქმნათ

მკითხველს წარმოადგენა. თან ისიც დავინახოთ, როგორი უცნაური, აზროვნებითაც რაოდენ ორიგინალური იყო. სად კემპესი და სად ბერნსის ამბავი, მაგრამ ეს ორი რამ მის წარმოსახვაში იმის გამო გაერთიანდა, რომ ადამიანთა ერთი მანკიერი თვისებისათვის გაესვა ხაზი, დაენახებინა, რა შედეგით სრულდება განდიდებისაკენ სწრაფვა ან პირიქით.

წითელი მელნით გაუფერადებია იოსებ გრიშაშვილის ერთი ექსპრომტი:

„ქართველი ერისათვის ერთი რამ მსურს,
იძენდეს ცოდნასა, სდევნიდეს შურს!“

ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე ხშირადაა ხაზგასმული ამ ჩანაწერებში, მოსწავლეთა დახასიათებებიც ძირითადად სწავლის, განათლების მიღების საჭიროების მიხედვით აქვს შედგენილი. თითქმის ყველგან აღნიშნავს, რომ ქართველი ერის გადარჩენა სწავლა-განათლებას შეუძლია. ერთგან ჩაუწერია: „საქართველოში ჭიანჭველა არ იქნება იმდენი, კოლო არ იწივლებს, ბუზი არ იბუზუილებს (ასე წერია, მშვენივრადაა გამოხატული სათქმელი ავტ.) რამდენი ჩინელიც ბზუის, წუის და ყაყანებს ჩინეთში, ინდოელი—ინდოეთში. ამათ განათლებით თუ ვაჯობებთ პანია ერები“. ასეთ დროს კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც გვინდა დავძინოთ, შოთა რობაქიძეს არც ისტორიული, არც ფილოლოგიური განათლება არ მიუღია, მთელი ცხოვრება ერთ სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა, მაგრამ კარგად უწყოდა, რომ მარტო ერთი კონკრეტული საგნის ცოდნა არ იყო საკმარისი. უპირველესად, პედაგოგი ქართველი, ქართულის მცოდნე და მოტრფიალე უნდა ყოფილიყო. ამიტომ

ეცნობოდა, კითხულობდა, უბის წიგნაკში ინიშნავდა ისეთ გამონათქვამებს, რომელთა შესახებაც გააჩნდა საკუთარი მოსაზრება, პოზიცია. მოსწავლეებს ხშირად ესაუბრებოდა შურზე, გაუტანლობაზე, განსაკუთრებით იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ ორივე ქართველთათვის იყო დამახასიათებელი, შურის საბასეულ განმარტებასაც მოიშველიებდა ხოლმე: „შური-სიხარბე სხვისა სიკეთესა ზედა“. იოსებ გრიშაშვილის ზემოთმოყვანილი ტაეპიც ალბათ ამიტომ მოეწონა. მასში ხომ ქართველისათვის ცოდნის შეძენის აუცილებლობა და შურსა და მტრობაზე ამაღლებაა აქცენტირებული.

ამავე პოეტის ერთი ლექსიც ხშირად მეორდება შოთა რობაქიძის უბის წიგნაკებში. პოეტურ თხზულებას „საათის ისრები“ ჰქვია. აი, ისიც:

„ო, შეხამება სხვადასხვა ფერთა
პოეზიისთვის არის მისწრება.
ნეტავი ერთხელ ჩვენც შეგვაერთა
საათის ყდაზე შეკრულ ისრებად.

მინდა გფარავდე, მინდა მფარავდე,
ერთად ვიაროთ განუყრელ წყვილად.
მე შენს სიყვარულს კოცნას ვპარავდე,
შენ ჩემს ლოყაზე გეძინოს ტკბილად.

მსურს ერთად ვიყოთ შენაფიცარი,
როგორც ყვავილზე სუნთქვა ნამისა,
როგორც საათის ორი ისარი
შუადღისას და შუალამისას“.

ბოლო ტაეპი გაუხაზავს. შოთა რობაქიძის საათით დაინტერესებაზე უკვე აღვნიშნეთ. ამ ლექსის მოწონება ამი-

თაც უნდ ყოფილიყო გამონვეული, მაგრამ ესეც რომ არა, იგი მშვენიერი ლექსია, საათის ისრების თანხვედრის ორიგინალური გააზრებით გამორჩეული. საათის ისრების შუადლისას და შუალამისას თანხვედრის, შერწყმის ჩვენებით ხატოვნად ორი ადამიანის ერთად ყოფნისა და ერთარსებად ქცევის სურვილია გამოხატული.

არის გამონათქვამები, თითქმის ყველა უბის ნიგნაკში რომ მეორდება, ერთიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ასე შემდეგ რომ გადაუტანია. უნდა ვიფიქროთ, ისინი განსაკუთრებით მოწონდა. ასეთია მარკ ტვენის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა აზრები. აი, ზოგიერთი მათგანი:

„რა არის სენატორი? სენატორი არის ადამიანი, რომელიც დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როცა ციხეში უნდა იჯდეს, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ზის და სახელმწიფოებრივ კანონებს წერს“. ეს მარკ ტვენის სიტყვებია. ამ დიდი მწერლისა და მოაზროვნის ორი მახვილგონივრული აზრი მოსწონდა კიდევ: „საფრანგეთში არ არის ზამთარი, არ არის გაზაფხული და არც ზნეობა. სხვა მხრივ შესანიშნავი ქვეყანაა“. ეს ერთი, მეორე: „მხოლოდ მკვდრებს აქვთ სიტყვის თავისუფლება, მხოლოდ მკვდრებს შეუძლიათ ილაპარაკონ სიმართლე“. სენატორებზე გამოთქმული აზრი პირველად 1976 წელს ჩაუნერია. მერე, როგორც ჩანს, უფრო მოენონა, მოიხიბლა მასში გამოქვავებული პოზიციით, თან საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმაც უფრო აქტიური გახადა იგი და ამიტომაც ხშირად გაუმეორებია, თითქმის ყველა უბის ნიგნაკში გადაუტანია.

შოთა რობაქიძისათვის, ეროვნული სულისკვეთების შემდეგ, ზნეობა იყო უმთავრესი უფრო მარტივად, ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოედგინა: თვლიდა, რომ ქარ-

თველს წინაპართა მორალური კანონების, ადათ-წესების დაცვა ევალებოდა. რაც ერთი კუთხის, მხარის ტრადიცია და ჩვევაა, იგივეს განმეორება ყველგან კულაბიკობაა და მეტი არაფერი. დილიკაურში დეიდაშვილი გარდაეცვალა, ქელეხზე ხორცი მოიტანეს, არ მოეწონა, ეს არაა ჩვენი წესიო—კახეთში სხვანაირად, გურიაში სხვანაირად, სვანეთში და ა.შ. სხვანაირად იციან და ამიტომაც საქართველო გამორჩეული ქვეყანა, თუ ყველგან ყველაფერი ერთნაირად გაკეთდება, ერთსახოვანი გავხდებითო—უთქვამს ძმისშვილისათვის.

წეს-ადათს დიდად აფასებდა, თვითონ მისი განუხრელი დამცველი იყო, სხვებსაც მოუწოდებდა. იმ ქელეხზე ლუკმა არ ჩაუდევს თურმე პირში, ყველასათვის უთქვამს გულისნადები და ამით გამოუხატავს პროტესტი.

მარკ ტვენის საფრანგეთზე ნათქვამიც ამიტომ მოწონდა—თუ არც ზამთარია, არც გაზაფხული, არც ზნეობა, მაშინ რით ყოფილა შესანიშნავი ეს ქვეყანა, რით და არაფრით. ქვეყანაც აღარ ყოფილა, ერი ნახირად ქცეულა, გადაგვარებულა.

ილიას გამონათქვამებიც ხშირად მეორდება: „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ამ თანმიმდევრობით წერს ილიას ამ ფრაზას, როგორც ჩანს, უფრო გაგონილს ეყრდნობა, ვიდრე წიგნიდან ამოწერილს ავტ.) თითქმის ყველა უბის წიგნაკშია ნითელი ფერის მელნით ჩაწერილი. ასევე ხშირადაა დიდი ოლიმპიელის ისტორიული წასრულის იგნორირებასთან, ენის გადაგვარებასთან დაკავშირებით გამოთქმული აზრები, არის შედარებით ნაკლებად ცნობილი—შურისა და ნატვრის განსხვავების ილიასეული დეფინიციაც:

„შურს ისა სწყინს და გულს უკლავს,—სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო. ნატვრა კი პატიოსნური სურვილია, მეც ის

შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივალნიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა კი შეჭხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა—კი ეტრფის“.

არც ერთი ჩანანური შემთხვევით არ გაუკეთებია. ცხოვრებაში თავის პრინციპები ჰქონდა და რაიმეს მისადაგებულს რომ აღმოაჩენდა სადმე, ჩაინიშნავდა, დაიმახსოვრებდა.

შურისა და ნატვრის განსხვავების ილიასეული განმარტებისათვისაც არ ჩაუვლია ხელი ზერელედ, შემთხვევით.

საერთოდ, არ იყო ზედაპირული, იქეთ-აქეთ გადამხტომი, დღეს ერთის მოფიქრალი, ხვალ მეორისა. საკუთარი აზრი გააჩნდა ყველასა და ყველაფერზე. მართალია, ეს აზრები არც ორიგინალური იყო, არც მარტო მისეული, მაგრამ იგი თავისად თვლიდა, რადგან მთელი სიცოცხლე მათ ერთგულებდა და ეთაყვანებოდა.

უბის წიგნაკებში ბლომადაა ისეთი ჩანანური, მის პირად ცხოვრებას რომ ეხება, აქაა მეგობართა, მოსწავლეთა დახასიათებებიც, ოჯახური ამბებიც...

რაც ყველაზე მეტად იყო საინტერესო, ის მოვიხმეთ და გავაცანით მკითხველს იმ მიზნით, რომ შოთა რობაქიძე არ იყო ჩვეულებრივი პიროვნება, არც მარტო ფიზიკულტურის მასწავლებელი, მისი აზროვნების ჰორიზონტი უფრო ფართო იყო და ვრცელი, ქვეყნის სატკივარს, ადამიანურ პრობლემებს გადამწვდარი.

„გაგეფოთლება სულში ფათალო.“

როზა შერგელაშვილი და შოთა რობაქიძე ერთ სკოლაში მოღვაწეობდნენ. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან იცნობდნენ, მეგობრობდნენ, ხასიათითაც ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს. პრინციპულობა და სამართლიანობა ცხოვრების წესად ჰქონდათ ქცეული. უყვარდათ აღსაზრდელები და ისინიც განსაკუთრებული სიყვარულით პასუხობდნენ. „მის დაკრძალვას ვერ დავესწარი, არ შემეძლო, შოთას ამ სოფლიდან იმ სოფელში მიმავალისათვის შემეხედა, პანაშვიდებზე დავდიოდი. ადრე წასვლითაც მაჯობა, მეგონა, გავასწრებდი, გამასწრო. მეგონა, სევდას დავუტოვებდი, პირიქით, აქეთ დამიტოვა გაუნელებელი ტკივილი და დარდი“ — გვეუბნება როზა შერგელაშვილი. ასე მხოლოდ ნაღდ მეგობარზე იტყვიან, ისეთებზე, რომელთა გარეშეც ცხოვრება ძნელად წარმოუდგენიათ, რომელნიც ყოველი პრობლემის შემწედ და მეხიდურად ეგულებათ. ესენი მართლაც ასე იყვნენ — თავიანთ სტილს ამკვიდრებდნენ სწავლებისა, მოსწავლეებთან ურთიერთობისა, საერთოდ, ქმნიდნენ გარემოს, რომელშიც მათი პრინციპები ადვილად ხორციელდებოდა. ერთი ძნელად შეძლებდა, ორი ბევრი იყო, უკვე მრავლობითი და ამ სიმრავლით ჯობნიდნენ სხვებს.

გრანიცის ყვიჩილიც როზა მასწავლებელმა გაიხსენა და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შოთა რობაქიძის გამორჩეულობას. თანაც, ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა ხატოვანი სახეა, რაოდენ ბევრის მთქმელი, ვინც შოთა რობაქიძეს იცნობდა, მასზე მორგებულ-მისადაგებული, ნაღდი ადექ-

ტი მისი სხვანაირობისა. გაიგონებ ამ სიტყვათშეთანხმებას და უმალ თვალწინ არაჩვეულებრივი სახე გაგიკრთება, სახე იმ კაცისა, ვინც სხვებს არ ჰგავდა, უცხო და არააქაური იყო, თანაც მედიდური, შემართული, თავისი პრინციპების ბოლომდე ერთგული და განმხორციელებელი. თუმცა ამაზე უკვე ვთქვით.

როზა შერგელაშვილი და შოთა რობაქიძე არა მარტო სწავლების დონეს განსაზღვრავდნენ სკოლაში, არამედ ქმნიდნენ იმ ქართულ გარემოს, რომელშიც მომავალი თაობა უნდა აღზრდილიყო, ისინი სიფხიზლეც იყვნენ სკოლისა, გონებაც, ინტელექტიც, პატიოსნებაც... სჯობს, როზა შერგელაშვილის ნაამბობი მის მეგობარზე მთლიანად მოვიტანოთ, ამით შოთა რობაქიძის ღვანლიც უკეთ წარმოჩნდება და ისიც, რაოდენ ურთიერთმნდობი და პატივისმცემელი იყვნენ ერთმანეთისა:

„ვერასდროს ნახავდი მოუწესრიგებელს. აკურატული კაცი იყო, ზნე-ხასიათითა და გარეგნული იერსახითაც გამორჩეული. მოსწავლეებთან ჰქონდა საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. იყო კულტურული, ქართული ზრდილობით შემკული, რაინდი, ვაჟკაცი. არ მახსოვს, რომელიმე ბავშვს რომელიმე მასწავლებელთან დაეშავებინოს რაიმე და შოთას არ გამოეხსნორებინოს, მათ შუა არ ჩამდგარიყოს, შუამავლობა არ ეკისროს.

შოთა რობაქიძე თავისი დარგის შესანიშნავი სპეციალიტი გახლდათ. ბევრჯერ კი არა, მგონი, ყოველწლიურად რაიონში სანიმუშო პედაგოგად იყო დასახელებული. მოდიოდნენ, ესწრებოდნენ შოთას გაკვეთილს და მერე მთელი რაიონის მასშტაბით განაზოგადებდნენ ნანახს, სავალდებულოდ აქცევდნენ მის მიერ დამკვიდრებულ სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მოჰყავდათ ახალგაზრდა, დამ-

წყები პედაგოგები, ასწრებდნენ შოთას გაკვეთილზე, როგორც სანიმუშოზე და ამით უჩვენებდნენ, როგორ ელვანათ ამ სფეროში. თვითონაც დიდ პატივს ცემდა თავის პროფესიას. ზერელე დამოკიდებულება საერთოდ უცხო იყო მისი ხასიათისათვის, მითუმეტეს — ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებით. წვითა და დაგვით, ყოველდღიური შრომით იმკვიდრებდა სახელს, ჰქმნიდა სკოლაში ფიზკულტურის სწავლების მდიდარ ტრადიციას. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მწირი იყო შესაძლებლობანი, სპორტდარბაზი კი გვექონდა, მაგრამ არა ისეთი ახლა რომაა, ინვენტარიც, რა თქმა უნდა, ცოტა იყო, მაგრამ რაც გაგვანდა და მოგვეპოვებოდა, ყოველივე შოთას დამსახურება გახლდათ. ამირან გიორგაძის გაახლებული სპორტდარბაზი, ევროპულ დონეზე გაკეთებული გასახდელეები რომ ვიხილე, უმალ გავიფიქრე, ნეტავ, ამას მოსწრებოდა შოთა რობაქიძე, რა ბედნიერი იქნებოდა, რა ამაყი, გახარებული.

ვერ მოესწრო...

ზომიერების საოცარი გრძნობა გააჩნდა. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თანასოფლელებთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო, თავს არავის არაფრით აბეზრებდა, ყოველთვის გრძნობდა, რა დისტანციით უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ადამიანთან ახლოს, ასევე შორს. იყო ზედმეტად კეთილი, მიმნდობი და მპატიებელი, ბოროტების ფიორიც არ გახლდათ მის ხასიათში.

ოჯახშიც მონესრიგებული იყო — უყვარდა მეუღლე, შვილები, დედმამიშვილები. ორივე სოფელი საოცარ პატივს სცემდა. მეგობრობდა ბავშვებთან, მათ მშობლებთან, ბებია-ბაბუებთან. ასაკი მისთვის მნიშვნელობადაკარგული ცნება გახლდათ — ყველა იცნობდა, ყველას იცნობდა, ენდობოდა და ენდობოდნენ.

საოცარი შეხვედრა იცოდა, თითქოს დიდი ხანი არ გენახა, ისე გაგიღიმებდა, საკუთარ დარდ-წუხილს არ ამჟღავნებდა. შეგხვდებოდა, სიხარულს მოგგვრიდა, გამოხედვით გეტყოდა, რომ პატივს გცემდა, ერთგული იყო შენი.

ყოველ დილით, როგორც დიდი ხნის უნახავს, ისე შემოგებალისებოდა, გაგიღიმებ-გაგიცინებდა თავისი ბუნებრივი, ღრმა იუმორის შემცველი ნათქვამით.

ასეთი იყო, რაც მახსოვს, ახალგაზრდაც, ასაკდატყობილიც, სტუდენტიც. ერთ დროს ვსწავლობდით-მეთქი, მოგახსენეთ, მის თანაკურსელებს ვიცნობდი, ის ჩემსას. კურსზე, ფაკულტეტზეც გამორჩეულს მეგობრებიც ასეთი ჰყავდა, ნაღებები, ვაჟკაცები...

ფიზკულტურა პროფესიად შემთხვევით არ აურჩევია. სპორტსმენი გახლდათ, შეჯიბრებებში მონაწილეობდა, ხშირად იმარჯვებდა. საერთოდ, სპორტული, რაინდული ბუნების კაცს ადამიანებთან ურთიერთობა უადვილდებოდა. შეჯიბრებაშიც ხშირად ერთვებოდა, უშუალოდ მონაწილეობდა. ამიტომ უყვარდათ მოსწავლეებს, მის მესაიდუმლედ, შემწედ და დამხმარედ თვლიდნენ.

ყოველთვის მოსწავლის ინტერესებს იცავდა. ერთმა ბავშვმა რალაც-რალაცები მოიპარა სპორტდარბაზიდან. გავიგეთ ყველამ, ვიცით, ვინცაა, ველოდებით, შოთა იტყვის, უფრო სწორად, გაამჟღავნებს მომპარავის ვინაობას და მერე ვიფიქრებთ, როგორ მოვიქცეთ. ყველანი შევიკრიბეთ დირექტორის კაბინეტში. შოთა არაფერს ამბობს, არ ასახელებს ნივთების ქურდს, არ ვიცით, გვეუბნება, თან დამნაშავე მე ვარ და დამსაჯეთო — გვთავაზობს გამოსავალს.

ვიცით, იცის, ვინც მოპარა, არ ამხელს. არ ვიცით, გვეუბნება და ჩვენც გვაეჭვიანებს ჩვენს ცოდნაში.

იყო ასეთი, თუ მის სააღმზრდელო პრინციპს რაიმე სა-

ფრთხე ემუქრებოდა, შენც დაგაეჭვებდა, ორჭოფს გაგხდი-
და, სათავისოდ მოგაქცევდა.

ყველა ფიქრობდა, შოთა მოსწავლის ვინაობას გაამხელ-
და და თვითონვე მოითხოვდა მის სამაგალითო დასჯას.

ნურას უკაცრავად, არ ვიცის, გვეუბნება, თქვენც ნუ იქ-
ნებით ნამეტანი დარწმუნებული, დამნაშავე მე ვარ, დამ-
საჯეთო.

მშვენივრად იცოდა, ვინც იყო, არ ამბობდა.

მერე თვითონ დაელაპარაკა ქურდობაზე ხელნაცდენ-
ილს, მოპარული მოატანინა, გვერდით დაიყენა, მეგობრად
აქცია, ახლა შესანიშნავი მოქალაქეა. იმ დროს რომ ეთქვა
ყოველივე და ჩვენს მსჯავრსაც არ დაეყოვნებინა, იქნებ შე-
დეგი საპირისპირო ყოფილიყო, მოსწავლე გალიზიანდებო-
და, გაკიცხვა, დასჯა უარესისკენ უბიძგებდა და ერთ კარგ
ქართველს დავკარგავდით.

შოთა წინასწარ ჭვრეტდა სამომავლოდ მოსახდენს. ამის
გამო იბრძალებდა თვალს, იყრუებდა სმენას. იცოდა, ასე
ჯობდა და იმიტომ. ყველანაირი ჯურის ადამიანთან ახერხე-
ბდა ურთიერთობას, უცებ გაიცნობდა, დაუახლოვდებოდა,
გაიგებდა მავანის ავან-ჩავანს.

განსაკუთრებით პრინციპული იყო გაკვეთილზე. მოსწავ-
ლე ზედმეტს ვერ გაუბედავდა, ახლოს იყო ბავშვებთან,
ძალიან ახლოს, მაგრამ არა ისე, რომ ერთმანეთი დავინ-
ყებოდათ, მოსწავლეს თავისი ადგილი ჰქონდა, მასწავლე-
ბელს თავისი. იუმორის საოცარი გრძნობა გააჩნდა, უცებ
შეეძლო განემუხტა სიტუაცია მოხდენილი, იმ სიტუაციას
მისადაგებული ნათქვამით. გაკვეთილზეც იცოდა ხუმრობა,
მაგრამ არ მახსოვს, მისი ნათქვამი მუდმივ სიცოცხლ-
ბარხარში გადაზრდილიყო, მოზომილად იტყოდა, ასევე გაიხუმრებდა.

იყო თავმოყვარეც, მაგრამ არა გადაჭარბებული, ქედ-

მალალი, ზემოდან გადმომხედი. ცხოვრებასა და სწავლებაში საკუთარი პრინციპების ერთგულს, თავმოყვარეობა და დაჟინებული ხასიათი რომ არ ჰქონოდა, ვერაფერს მიაღწევდა. ერთი უხეში, მაგრამ კეთილი მოსწავლის საკითხს ვიხილავდით პედსაბჭოზე. მოუთვინიერებული იყო ეს ბავშვი, მაგრამ ქუჩაში რომ გაგვეშვა, უარესი გახდებოდა. ამიტომ მე და შოთამ დავიცავით, ნუ გავუშვებთ სკოლიდან, ათი კლასი აქ დავამთავრებინოთ, იქნებ გამოსწორდეს, ჭკუაში ჩავარდეს, მეტი სითბო ვაგრძნობინოთ-თქო. დირექტორი არ დაგვეთანხმა. დაატოვებინეს სკოლა, წავიდა რუსეთში, იქ რალაც შეხვდა და მოკლეს. ეს ხომ ტრაგედიაა სკოლისთვის. საოცრად განიცადა შოთამ ეს ამბავი. იმ დღეებში ხშირად იხსენებდა, ნუხდა მომხდარზე, უფრო მეტად უნდა დაგვეჟინებინა, გვებრძოლა მეტი შემართებით, არ დაგვეთმო, დავთმეთ პოზიცია და შედეგიც ასეთი მივიღეთ.

თითოეული მოსწავლის ოჯახშიშვილობა იცოდა. მერეც, სკოლის გასრულების შემდეგაც, ინტერესდებოდა მათი ბედით, აგრძელებდა მათთან ურთიერთობას და მეგობრობას.

რაინდი იყო მართლაც. მომავალი მეუღლე ინგა ფანჩულიძე შოთას (ბუნებრივია ჩემიც), ყოფილი მოსწავლე გახლდათ. ულამაზესი გოგონა ბევრს მოწონდა, ზოგს უყვარდა კიდევ უთქმელად, გაუმხელლად. ინგამ სკოლა დაამთავრა და თავის მშობლიურ ტყიბულს მიაშურა. შოთასთვის არავის არაფერი შეგვიძინევია, არც გვიფიქრია, ეს გოგონა თუ მოწონდა. ასე მხოლოდ ვაჟკაცები მალავენ ამ გრძნობას, მალავენ, უფრთხილდებიან, რადგან მათ სულში იგი ჭეშმარიტადაა დაბუდებული.

მოვიდა შოთა და მეუბნება: უნდა წამომყვე, უარი არ მითხრა, მეგობარს როგორც შეშვენის, ისე უნდა დამიდგე

გვერდით, ინგასთან უნდა მივიდეთ სახლში და ჩემი გულის-
ნადები იქ უნდა გავამხილოო.

შოთა ერთ ჩვენ ნათესავს მონონდა, ინგაც ნათესავი იყო, იმნამს გავიფიქრე, რა ვქნა, ის ხომ განაწყენებული დამ-
რჩება-მეთქი, მაგრამ მას არც დახმარება უთხოვია ჩემთვის, უფრო მეტიც, არ გაუმხელია, თუ ასეთი გრძნობა გააჩნდა, ამიტომ მეგობარს ხელს ხომ არ ვკრავდი.

მივედით, ვთქვით, რაზეც ვიყავით მისულნი, გრანიცის ყვიჩილს სიძობაზე ვინ ეტყოდა უარს.

ასე მაღავდა სიყვარულს, არ გაუმჟღავნებია, არავის-
თვის უგრძნობინებია, ვერავინ შეამჩნია, რადგან ნაღდად უყვარდა.

შესანიშნავი ოჯახი შექმნეს, ორი დიდებული ვაჟკაცი აღზარდეს. ცხოვრობდა, მოღვაწეობდა... შოთა რობაქიძეს საზანო გამორჩეულად უყვარდა. დროის უმეტესი ნაწილი აქ იყო, აქაურებს უკეთესად იცნობდა. სკოლიდან რომ ნა-
ვიდა, მე და ვენერა ნებიერიძემ ოთხჯერ გავაკითხეთ — ყვე-
ლაფერს გადაუსვი ხაზი-მეთქი, ჩვენი მეგობრობა გაიხსე-
ნე, შენგან უარს არ ველი... არ დაგვყაბულდა. ახლა ვხვდე-
ბი, შოთა მართალი იყო. გითხარით; უტყუარი ალლო გააჩ-
ნდა, მერე მოსახდენიც წინასწარ განჭვრიტა, სხვა სიოს ქროლვა იგრძნო საზანოს სკოლაში და, რადგან მასთან გამ-
კლავება აღარ შეეძლო, გაცლა ამჯობინა.

მართალი იყო.

შოთას გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, კინალამ გავ-
გიჟდი. გითხარით, ამითაც მაჯობა-მეთქი. მაგრამ იგი არ
გარდაცვლილა, სხვა განზომილებაში გადავიდა. მკვდარი
შოთა რობაქიძე სჯობს ფეხზე მოსიარულე ბარეორს. შო-
თას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დავნერე ეს

ლექსი, მინდოდა, ინგასთვის გამეგზავნა, ვერ მოვახერხე. აი, ისიც.

შოთა რობაქიძეს

ზოვრეთის ქუჩებს დაეცა ჩრდილი
და ყვავილებმა თავი დახარეს,
ნელინადია ამ სოფლის შვილი
დაემშვიდობა ოჯახს საყვარელს.

— ველარ აივლი ზოვრეთის აღმართს
ლიმილითა და თავდავინყებით,
წმინდა გიორგთან შეიგრძნობ დაღლას
და იქვე ჩუმად ჩრდილში მინვები.

გაგეფოთლება სულში ფათალო
და შეირხევა გიორგის სვეტი.
მერე ვინ იცის, სად გაგაქროლებს
წუთისოფელი უცხოურ ეტლით.

ლიმილს მოგტაცებს უცხო სულმნათი
და დაგიგულებს სამოთხის მცველად
და ეს საშინლად მკაცრი სურათი
შენ ინგას თვალებს შერჩება ცრემლად.

მიგელულება თვალი ანაზდად
და მზე შეგიმკობს საფლავს მდიდრულად,
მოგერვენება მინა დარბაზად
და შენი კუბო მალალ ტრიბუნად.

შენ ფეხთ ნაკვალევს ქარი ვერ წაშლის.
თუმც ბევრი დაგრჩა ჩვენთან სათქმელი
და შენს საყვარელ ამ ორ სოფელში.
მუდამ დარჩება შენი სახელი.“

ესაა მოკლედ როზა შერგელაშვილის მონათხრობი მეგობარზე. მასში, უპირველესად, შოთა რობაქიძის განსხვავებულობაა გამოკვეთილი. პედაგოგიც განსხვავებული იყო, კაციც. მშობლებიც ასეთი ჰყავდა — მათი ნამზადი პურ-მარილი მთელ რაიონში იყო ცნობილი. ღვინით ვჯობნიდი და აღიარებდა ჩემს უპირატესობას — გვეუბნება როზა მასწავლებელი.

შოთა რობიქიძეს, სპორტული ზნეობის კაცს, მართალია ძნელად, მაგრამ მაინც შეეძლო სხვისი მჯობნობის აღიარება, ესეც მისი ხასიათის ერთი შტრიხი გახლდათ.

შოთას მსგავსი მამაკაცი, როგორც გარეგნული ისე შინაგანი სამყაროთი, იშვიათობაა. სუფრაში არ იკითხავთ, — არავინ დარჩებოდა უყურადღებოდ, არ გადათვრებოდა, ზედმეტს არ იტყოდა. იტყოდა იმას, რაც ნაღდი და ზუსტი იყო. ღვინო არ აამჩატებდა. მოზომილი იცოდა ყველაფერი — ესეც როზა შერგელაშვილის სიტყვებია.

იხსენებდა იგი თავის მეგობარსა და კოლეგას, იხსენებდა ჩუმი, სევდანარევი ხმით. ამ სევდაში ატევდა მისი არყოფნის გამო ნუხილს, გაფრენილ წლებზე სინანულს. იმას, რომ შოთა რობაქიძის მსგავსი ადამიანები არ მრავლობენ დღეს ჩვენში.

სამნუხაროდ და სავალალოდ, მართლაც რომ არ მრავლობენ.

საზანო

ზოვრეთში დაიბადა და გაიზარდა, რვანლიანი სკოლაც იქ დაამთავრა, მთელი ცხოვრებაც იქ გაატარა, მაგრამ მეზობელი სოფელი მაინც სხვა იყო მისთვის, საზანოს გამორჩეული სიტბო ჰქონდა—აქ პედაგოგობდა 45 წელი, აქ აღზარდა უამრავი თაობა, აქ იცნობდა და იცნობდნენ ყველა, უყვარდა ყველა და უყვარდა ყველას. ამიტომ სულაც არაა შემთხვევითი, სულ საზანოსკენ რომ მიიჩქაროდა, მეგობრებიც აქ ჰყავდა, აღსაზრდელებიც აქ ელოდნენ და მიდიოდა, კი არ მიდიოდა, მიფრინავდა. ეს სიტყვაც არ დაგვიწერია შემთხვევით, მართლაც მიფრინავდა.

შოთა რობაქიძეს, რაც გვახსოვს, მოტოციკლი ჰყავდა. მოახტებოდა ამ ორბორბლიან ტრანსპორტს და მიქროდა, მიქროდა მშობლიური სკოლისაკენ. საოცარი სისწრაფით ატარებდა მოტოციკლს, მის გაქროლებას რომ დაინახავდი, მსწრაფლ იგრძნობდი, სპორტსმენი იყო, ნელა, მდორედ კი არ მიჰყავდა, ჯოჯოხეთური სისწრაფით მიაგელვებდა. მოსახვევში წვებოდა ამ ორბორბალაზე და ისე უხვევდა, სიჩქარეს არ უნელებდა, არ ამცირებდა, ისევ ისე, საოცარი სისწრაფითა და სიჩქარით უხვევდა.

მოტოციკლის არა მარტო ტარება იცოდა, საერთოდ, დეტალურად უწყოდა ტრანსპორტის ამ სახეობისა ყველაფერი—შლიდა, აწყობდა, არემონტებდა, ძველის ნაწილი ახალზე გადმოჰქონდა. სხვებსაც უკეთებდა, უწესრიგებდა, გასამრჯელოს გარეშე, უსასყიდლოდ.

მანქანა ეზოში ჰყავდა, ბორბლებმოსხნილი, დაუქმებულ-
ლი, მოტოციკლით დადიოდა.

რამდენიმე მოტოციკლი გამოიცვალა, ერთის ნაწილი, დეტალი მეორეზე გადაჰქონდა, უკეთესის გამოცნობა შეეძლო, სისწრაფეში გამოცდიდა და ცვლიდა, ცვლიდა იმის მიხედვით, რამდენად სწრაფად გაქროლდებოდა, გაქანდებოდა.

უყვარდა მოტოციკლი, შეუყვებოდა საზანოს სერს მშობლიური სოფლიდან, იქიდან კიდევ აქეთ, კი არ დააგორებდა, უსწრაფესად გამოაქანებდა, შეჯიბრში მონაწილე გეგონებოდა, ან საოცრად მოჩქარე რალაც საქმეზე. უმოტოციკლოდ იშვიათად გვინახავს, ერთ-ორ დღეს თუ გამოურევდა ხუთწლელში, ან ავარია მოუვიდოდა, ან შორს მიმავალი სახლში დატოვებდა საყვარელ ტრანსპორტს. ავარიაც ბარე ოთხჯერ მოუხდენია, მოტოციკლს ვერ გაუძლია სიჩქარისათვის, იმ ნებიერი ნავარდისათვის, შოთა რობაქიძეს რომ უყვარდა.

ავარიის შემდეგ ვინახულე, მკლავი ჰქონდა შეხვეული, საოცრად გაეხარდა, ორბორბლიანმა მილალატა, თორემ არაფერიც არ მოხდებოდა, უფრო სწრაფადაც წამოვსულვარ, ტრანსპორტმა მიმტყუნა, რკინაა, ვერ ენდობი ბოლომდეო—უთქვამს თამაზ გიორგაძისათვის.

ეს კი, მაგრამ მაინც სწრაფად ატარებდა, ძველებურად ჩქარა მიჰქროდა, მოსახვევში გადანვებოდა, მოტოციკლსაც გადაანვენდა და ისე მიჰყავდა. ავარია ვერ აკრთობდა, ვერ აშინებდა. მივიდოდა სახლში, დაზიანებას აღმოაჩენდა, გაარემონტებდა, უკეთესით შეცვლიდა, დაშლიდა, ააწყობდა, გამოცვლიდა, არ მოეწონებოდა, ისევ დაშლიდა, ხელახლა ააწყობდა და ასე დაუსრულებლად...

უყვარდა მოტოციკლი...

მანქანა ეზოში ჰყავდა დაყენებული, მოტოციკლით დაქროდა... სახლიდან საზანომდე, და პირიქით, უსწრაფესად თელავდა მანძილს.

ზამთარი მოვიდოდა, სხვანაირად აანყობდა მოტოციკლს. გრძელ ღამეში დაშლიდა, დაანაკუნებდა, ტაშტებს მიფუჭებდა, საპოხიან ნაწილებს ყრიდა ზედო — გვეუბნება ქალბატონი ინგა. დაშლილს დააკვირდებოდა, ახლებურად, საყინვოდ, საქარაშოტოდ გამართავდა.

ყინვაში, ასატან თოვლსა და ქარბუქში უყვარდა მოტოციკლის ტარება. ამიტომ ამზადებდა საზამთროდ. მე შენ გეტყვი, ელშედულება გაუჭირდებოდა, ჩინებულად იცოდა ეს საქმეც, მარტო მოტოციკლებს კი არ არემონტებდა, ვაზის შესანამლ აპარატებსაც აკეთებდა სხვებისას. მაისისპირს, სანამ ვაზის შენამვლა დაიწყებოდა, მოუტანდნენ, შეეხვენებოდნენ, ჩემი ვენახი მზის გულზეა, პირველი ადრე უნდა ვუაქიმო—იქნებ დამიჩქარო შეკეთება, თორემ დამიგვიანდებო. უჩქარებდა, უსწრებდა, ამასაც გასამრჯელოს გარეშე იქმოდა, სამეზობლოდ უწვდიდა ხელს.

ზამთრისპირს მოტოციკლს ასხვაფერებდა, საზამთროდ ამზადებდა...

გაზაფხულისპირს ვენახის შესანამლი აპარატები მოჰყავდა წესრიგში თავისი, სხვების....

გლეხი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა, ჩინებული მეურნე გახლდათ, ხნავდა, თესდა, მარგლავდა, პირველ თოხს, მეორეს, არ უგვიანებდა ამოლტილ სიმინდს...

მასწავლებლობდა.... დილაადრიან სკოლისაკენ მოქროდა მოტოციკლით, მომავალ თაობებს ზრდიდა, ქვეყანას აყვარებდა, სპორტის საიდუმლოებებს აცნობდა, ფიზიკური სიჯანსაღის აუცილებლობას უწერგავდა...

დრო მორჩებოდა, საათებს ჩაკირკიტებდა, არემონტებ-

და, აახლებდა, უარესისგან ქმნიდა უკეთესს, უკეთესისგან საუცხოოს.

რკინისაგან გაკეთებულს ნახავდა რამეს, დააკვირდებოდა და უკვე იცოდა, როგორ იყო შექმნილი, ასლი გონებაში გაუკრთებოდა და საკმარისი გახლდათ იმდაგვარი, უმეტეს შემთხვევაში, უკეთესი თვითონ შეექმნა.

მეტი რა ექნა...

სკოლა, ოჯახი, მამული, მოტოციკლი, საათი, ათასი სხვა საჩხირკედელი და საკირკიტო საქმე.

საათი და მოტოციკლი მაინც განსაკუთრებით უყვარდა. ნეტავ, თუ არ გბეზრდება ამდენი დაშლა და აწყობა, აწყობა და დაშლა—ხშირად უთქვამს მეუღლეს. გაიღიმებდა, ეშმაკები გაუხტებოდა თვალებში და უპასუხებდა:

—რა იცი, რა საოცრებაა, ერთიც, მეორეც...

რაც არ უნდა იყოს, ერთი და იგივეს კეთება მაინც უნდა მოგბეზრდეს კაცო, მარტო ტაშტების ყიდვას ველარ ავუღივარ, ვიყიდი, მომისპობ, ერთი და იგივე მაინც იხმარე—გაეპასუხებოდა ქალბატონი ინგა.

—ერთი და იგივეს არასდროს ვაკეთებ, ტაშტებიც ამიტომ მჭირდება, გუშინ სხვანაირიად, დღეს სხვანაირად ავანყვე, ტაშტებიც ამის გამო მჭირდება სხვადასხვა, ერთი და იგივე მართლა მომბეზრდებოდა—დაირცხვენდა.

არასდროს იმეორებდა, წინანდელს ახლებურად აკეთებდა, გუშინდელს ხვენდა, სრულყოფდა.

ზამთრისპირს ყინვაში გასაქროლებლად, გაზაფხულისპირს სიცხეში სანავარდოდ ამზადებდა მოტოციკლს.

საზანო გამორჩეულად უყვარდა-თქო, აღვნიშნეთ, აქაურობის ყველაფერი უწყოდა და ესეც განაპირობებდა ამ სიყვარულს. მშობლიური სოფლის სკოლის გუნდთან შეჯიბრის დროს მშობლიურ სკოლას ქომაგობდა, ქომაგობდა

კი არა, ამარჯვებინებდა საზანოელებს ზოვრეთლებზე. გოჩა რობაქიძე გვიყვება,— „ერთხელ მეცხრეკლასელები მის დაუკითხავად გამოსულან ზოვრეთში და ეჯიბრებიან აქაურებს. ბიძაჩემი შინაა, ესმის სტადიონის ჟრიაშული, გაიგო, მისი შეგირდები 3:1 -ს აგებენ. ჯერ თავი შეიკავა. გაჯავრებული იყო მოსწავლეებზე, მის დაუკითხავად რომ წამოვიდნენ საასპარეზოდ, მერე გულმა არ მოუთმინა. დაქოქა მოტოციკლი და წავიდა. ტრანსპორტი რად უნდოდა, სტადიონი ორი ფეხის ნაბიჯზეა, მოტოციკლის ხმაურით რომ გაეგოთ ალბათ მისი მისვლა, ამიტომ მოიქცა ასე. მივიდა, რამდენიმე რჩევა მისცა თავის აღსაზრდელებს და საზანოს მეცხრეკლასელებმა ის მატჩი 4:3 მოიგეს. გულმა არ მოუთმინა, შინ ვერ გაჩერდა, გაბრაზებული კი იყო, მაგრამ წყენა გვერდზე გადადო, გაამარჯვებინა იმათ, ვისაც ზრდიდა, წვრთნიდა, კაცობას და სპორტს აყვარებდა.“

არ იყო ასეთი ფაქტები იშვიათი. საზანოელთა გამარჯვებისათვის ყველა ღონეს ხმარობდა, ფსიქოლოგიურად ამზადებდა შეგირდებს, გამარჯვების რწმენას უნერგავდა და ისინიც არ ღალატობდნენ.

საერთოდ, დამარცხებას ძნელად ეგუებოდა, წვრთნას, ვარჯიშს არ დააკლებდა, ფსიქოლოგიურადაც მოამზადებდა აღსაზრდელებს გამარჯვებისათვის, მაგრამ სასწაული თუ მოხდებოდა და წააგებდნენ, ბუნებრივია, იყო ასეთი ფაქტებიც, ყურებს ჩამოყრიდა, ჯავრი გამოეხატებოდა სახეზე. გამარჯვებისთვის გამზადებთ, დამარცხება არ გაბედოთ—იცოდა თქმა. ბეჟან ნებიერიძე და მისი თანაკლასელები საღებავების ქარხნის სტადიონზე ეჯიბრებოდნენ ფეხბურთში თანატოლ ზესტაფონის სკოლის გუნდს. ფინალში არიან და ამისათვის საგანგებოდ მოამზადა მასწავლებელმა, თითოეულ მოთამაშეს ცალ-ცალკე ესაუბრა, აუხ-

სნა, განუმარტა... მოწინააღმდეგეს ბევრად ჯობიხართ, მთავარია, ისე მოიქცეთ, როგორც გეუბნებით და გამარჯვება თქვენიაო,—უთხრა. დაიწყო თამაში, გარდამავალია უპირატესობა, შოთა რობაქიძის აღსაზრდელები ისე იქცევიან, როგორც მაესტრომ დაარიგა, ის იქ, ის იქ, დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა... ყველანი დარიგებისამებრ მოქმედებენ. მოქმედებენ და შედეგმაც არ დააყოვნა, გაიტანეს გოლი. შესვენების დროს კიდევ ერთხელ აუხსნა თითოეულს ყველაფერი, დავალებები გაანანილა, დაცვაზე არ იფიქროთ, შეტევა, შეტევა... როგორც აქამდე უტევდით, ისე შეუტით, არ მოეშვათ, ბურთს ბოლომდე სდიეთ და ა.შ. დაიწყო მეორე ტაიმი, შეგირდები ისევ ისე იქცევიან და შედეგსაც ინარჩუნებენ. ბოლო ათი წუთი აირივნენ, თითქოს აწყობილი მექანიზმი დაიშალა, რალაც რგოლი გამოაკლდა... ეს არევიდარევა ანგარიშშიც აისახა, გათანაბრდა. მაინც ვერ აენწყნენ, თან დროც მცირე დარჩა და იმარჯვა მოწინააღმდეგემ. ისე დაწყდა გული შოთა მასწავლებელს — გვეუბნება ბეჟან ნებიერიძე, რომ იქიდან ფეხით წამოგვიყვანა საზანოძე. მთელი გზა უბრად მოგვყვებოდა, ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს გაკვეთილი წაგების მიზეზებს დაუთმო, აგვიხსნა, განგვიმარტა, წყენას გადაეწლო, გაგვილიმა და გვითხრა—მოგება და წაგება ძმები არიან, მაგრამ იცოდეთ, წაგებისათვის არ გამზადდებთ, ამისთვის ერთ წუთსაც არ დაეხარჯავ, შეგეძლოთ მოგეგოთ, თანაც დიდი ანგარიშით, მოწინააღმდეგეზე ძლიერი იყავით, მაგრამ ბოლომდე არ მიყევით ჩემს ნათქვამს, ვერ გაითვალისწინეთ, ვერ დაიმახსოვრეთ, რაც გითხარით, ამიტომაც წააგეთ, უფრო სწორად, წავაგეთო—უთქვამს.

საზანოს სიყვარულს პატარაობიდანვე უნერგავდა აღსაზრდელებს. პირველ-მეორე კლასელებიც ხშირად დაყავ-

და ლაშქრობაზე, ბუჯის ციხეზე, სხვაგან... აკვირდებოდა მათს სპორტულ მონაცემებს, ფიქრობდა, ვინ რით დაეგვირთა, ვინ რა სახეობაში ევარჯიშებინა, თან სოფლის ისტორიასაც აცნობდა, მოუთხრობდა შთამბეჭდავ ფაქტებს საზანოს ისტორიისა, განსაკუთრებით მისი აღზრდილებით იყო ამაყი, დაინახავდა სკოლადამთავრებულს, უკვე კაცს, განათლებამიღებულს და გაეხსნებოდა სახე, ჩაიღიმებდა, ამბავს გამოკითხავდა, ძირისძირამდე ჩაყვებოდა, შეიგყობდა ყოველივეს და მერე მეორე დღეს კოლეგებს მოუთხრობდა ყოფილი მოსწავლის ნათქვამს. თხრობის დროს ამაყი იყო, სიტყვებს მედიდურად, განსაკუთრებული ტონით წარმოთქვამდა. პატარებთან ხშირად გაიხსენებდა სკოლადამთავრებულებს, მისაბაძ პიროვნებებად დაუსახავდა მათ.

ტყიბულში თავაზობდნენ სამსახურს. მაშინდელი ქალაქკომის მდივანი კარლო ლომაძე სპორტის მოყვარული კაცი იყო. გაუგია შოთა რობაქიძის სპორტული მონაცემებისა და პედაგოგიური გამოცდილების შესახებ და თანახმა ყოფილა მისთვის საკმაოდ კარგი თანამდებობა შეეთავაზებინა, თუნდაც სპორტსკოლა ჩაებარებინა ან მწვრთნელ-მასწავლებლად მიენვია რომელიმე სახეობაში. დაუბარებია და უთქვამს, დაუხატავს მაცდუნებელი პერსპექტივა—მაღალი ხელფასი, სამოთახიანი ბინა, ავტომანქანა...

შოთა რობაქიძემ უარი განაცხადა, ვერ გადმოვალ, საზანოს ვერ დავტოვებო. ამ დროს არც საკუთარი სახლი გააჩნდა, არც მაღალი ხელფასი ჰქონდა, არც ავტომანქანა ჰყავდა. აქაური პერსპექტივაც არ იყო სახარბიელო—ფიზკულტურის მასწავლებლად გალია ნუთისოფელი. იქ უფრო გამოჩნდებოდა, მეუღლის სანათესავოც იქ იყო, მერე ერთ-ორ სპორტსმენსაც რომ გაემარლებინა მისი სახელიც

გაბრწყინდებოდა. მაგრამ მაინც უარი თქვა, საზანოს ვერ შეეღია, ტყიბულზე ნაკლები რითააო,—იტყოდა თურმე. იქ, მუშახტეთა ქალაქში გასაკეთებელი აქ, სოფელში გააკეთა, სპორტდარბაზი მოაწყო, ინვენტარით აღჭურვა, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის სტადიონები სტადიონებს დაამსგავსა, რაც მთავარია, ფიზკულტურის სწავლების მდიდარი ტრადიცია დაუტოვა მომავალ თაობას.

საზანოს ვერ შეეღია არა იმის გამო, რომ უფრო დიდმა პასუხისმგებლობამ შეაკრთო, შეაშინა, უყვარდა და ვერ დათმო, ვერ უღალატა.

იყო ამნაირი—გვეუბნება ქალბატონი ინგა და ცრემლი უკრთება თვალეებში, იტყოდა, ძნელად გადაათქმევინებდი, საზანოზე გიჟდებოდა, მშობლიურ სოფელს ერჩივნა. ბოლოს, საზანოს სკოლიდან რომ წამოვიდა, ზოვრეთში შესთავაზეს, დაენყო სამსახური, სკოლა ორ ნაბიჯზეა, გადმოდის, გაგვიზარდე მომავალი თაობაო—უთხრეს. მტკიცე უარით შეხვდა ამ წინადადებას—საზანოს სკოლაში ჩემგან დამკვიდრებულ ტრადიციებს, სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას აქ როდის შევქმნი, მოსწავლეებს ყანებში ხომ არ ვათამაშებ და ვავარჯიშებ, ახლა რომ ვინყებდე პედაგოგიურ მოღვაწეობას, შეიძლება, მაგრამ კარიერის დასასრულს აქ დანყებასაც ვერ მოვასწრებ იმისა, რაც საჭიროა და აუცილებელი, რაც საზანოს სკოლაში მაქვს დამკვიდრებულიო.

მართალი იყო, შექმნა, დააფუძნა, საკუთარი ძალისხმევით, მონდომებით, ენერგიით აალორძინა, რალაც სიმაღლემდე აიტანა, სხვაგან ყველაფრის ახლიდან დანყება მოუწევდა, რაც მისი ასაკის კაცისათვის შეუძლებლად მიიჩნია. ამიტომ თქვა უარი.

საზანო უყვარდა, აქ ყველას იცნობდა, ყველა იცნობდა,

ყველა უყვარდა, ყველას უყვარდა. სიცოცხლის ბოლო წლები სახლში გაატარა. იყო შინ, მეურნეობას ხედავდა, საოჯახო საქმეებს აგვარებდა, მაგრამ მაინც საზანოსა და საზანოელებზე ფიქრობდა. მის მეზობლად, საზანოდან ზოვრეთში გათხოვილი ირა კაციტაძე, ადრე საბავშვო ბაღის გამგე რომ იყო მშობლიურ სოფელში, ცხოვრობდა. გადავიდოდა, ან ის გადმოვიდოდა შოთა მასწავლებელთან ოჯახში და დაინყებდნენ საზანოზე საუბარს. ერთისთვის, ქალბატონ ირასთვის, მშობლიური სოფელი იყო, მეორესათვის, ბატონ შოთასათვის ორმოცდახუთწელნაპედაგოგარი სათაყვანო სკოლა, იცნობდნენ იქაურებს, უწყოდნენ მათი ავან-ჩავანი და იხსენებდნენ მათ ამბებს, საინტერესო ეპიზოდებს, ღირსეულ შვილებს ამ სოფლისა.

ქვედა საზანოს სკოლაში აღარ მსახურობდა, მაგრამ მაინც მასზე ფიქრობდა, ზრუნავდა. უყვარდა საზანო, აქაურები, აქაურებსაც ასევე, ორმხრივი იყო ეს სიყვარული.

სხვა ცხოვრებისთვის დაბადებული

თამაზ გიორგაძე რამდენჯერმე ვახსენეთ, შოთა რობაქიძესთან სკოლაში სწავლის დროსაც მეგობრობდა, მერე უფრო დაახლოვდნენ. უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. რამდენიმე დღე გავიდოდა და ენატრებოდა ერთს მეორე, მეორეს პირველი. შეხვედრებიც ხშირი იყო, აზრების გაცვლაც ჩვეულებრივი მოვლენა. მისვლა რომ შეაგვიანდებოდა — არ მოგენატრეო — შეჩივლებდა. ამიტომ ხშირად მიდიოდა, უფრო ყოფილი შეგირდი ყოფილ მოძღვართან, პირიქით, იშვიათად. დასხდებოდნენ, ისაუბრებდნენ, წაუქეიფებდნენ კიდევ. თამაზ გიორგაძე შოთა რობაქიძეს ახლოს იცნობდა, მისი ცხოვრების წვრილმანებიც იცის, ახსოვს, მაგრამ მაინც გულდანყვეტილი საუბრობს მათზე, გულდანყვეტილი იმიტომ, რომ მის უახლოეს მეგობარს სკოლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, სახლში ჩაკეტილს კი დარდი მოერიო, სკოლაში რომ ყოფილიყო, ახლაც ცოცხალი იქნებოდაო — ხმაჩახლეჩილი, სევდანარევი ხმით ამბობს ბატონი თამაზი.

მართლაც ასე იქნებოდა. იმდენად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, სულსა და გონებაში ჩაკირული ბავშვებთან ყოფნა, რომ მათ გარეშე ვერ ძლებდა. თანაც ეს იმ დროს, როცა თვითონაც კარგად უწყოდა, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მრავალი ჩანაფიქრი რჩებოდა განუხორციელებელი, ძალ-ღონე მოსდევდა, გამოცდილება ხომ ჰქონდა და ჰქონდა, თორემ ასაკს რომ დაერიო ხელი, დაძა-

ბუნებულები — შოთა რობაქიძე თვითონ იტყოდა სკოლაში მოღვაწეობაზე უარს.

შეეძლო და საშუალებას არ აძლევდნენ, უნდოდა, გაეკეთებინა, გააკეთებდა კიდეც, მაგრამ ხელოვნურ ბარიერს უქმნიდნენ. ისეთი სიო დაქროდა სათაყვანო სასწავლო დაწესებულებაში, მის ხასიათს არანაირად რომ არ ეთანხმებოდა, უცხო რომ იყო, უცნაური...

თამაზ გიორგაძე ადრეც ხშირად ნახულობდა, მერე უფრო მოუმატა მასთან სიარულს, უნდოდა, ნუხილი გაექარებინა, სიხარული განეცდევინებინა. ცდილობდა, ახერხებდა. დროს გამონახავდა, მოიკითხავდა, ისაუბრებდნენ, ნაუქეიფებდნენ კიდეც.

აი, თამაზ გიორგაძის მონათხრობი:

„სპორტული ჟინის კაცი იყო. დამარცხებას ვერ ეგუებოდა, სულ უნდოდა, გაემარჯვა. ხშირად ახერხებდა კიდეც. სკოლაში რომ ვსწავლობდით, კლასს ორად გაგვყოფდა, თვითონ სუსტების მხარეს ითამაშებდა. ფეხბურთს მეც კარგად ვთამაშობდი, ისიც, სულ ეჩინებოდა თავის მხარეს დარჩენილებს, — ის დაკეტეთ, იმას მოერიდეთო. ნაინვედა მონინაალმდეგე წინ, ეტყოდა მათ, მე გამარჯვებინებთო, ახლა ჩვენს მხარეს გადმოვიდოდა, გავათანაბრებდით ანგარიშს, გავუსწრებდით მონინაალმდეგეს. მერე ისევ იმათ დაანიანურებდა, აქედან იქით მიდიოდა, იქიდან აქეთ. ხანდახან ისეც მომხდარა, მის დაუხმარებლად მოგვიგია, ყურებს ჩამოყრიდა, დანალვლიანდებოდა. ხელს, უფრო ზუსტად, ხელის მტევანს ჩაიქნევდა ხელის გაუნძრევლად, ვეებერთელა მაჯით გულდანყვეტილი გაჰკვეთდა ჰაერს და ამით გვაგრძნობინებდა, რომ ნანობდა დამარცხებას.

არ უყვარდა მარცხი. სულ დამარცხებულის, სუსტის მხარეს სურდა ყოფნა, იმათ გამარჯვებას ჭედდა, მათ ას-

ნავლიდა, ურჩევდა, როგორმე მოეგო და დაეჯაბნა ძლიერი. ამით ხომ ძლიერებსაც ანრობდა, ინტერესს უღვივებდა.

ერთხელ, ჩვეულებრივ, ორად გაგვყო — აქეთ მხარეს მე ვარ, იქით ჩემი თანაკლასელი ომარ თურქაძე (გარდაცვლილია სანყალი, კაი ბიჭი, კაი მობურთალი, პიროვნება შესაშური). შოთა მასწავლებელმა იმათთან ისურვა თამაში. ამის გამო ლექსიც გამოვუთქვით, ყველა თანაკლასელმა ზეპირად იცოდა ეს შვიდი სტრიქონი, შოთას სკოლის დამთავრებიდან კარგა ხნის მერე მოვუყევი, ბევრი იცინა:

„მერვე კლასს ორი გუნდი ჰყავს
და ორი კაპიტანია,
მაგრამ სანყენი რა მოხდა,
რა ველარ აგვიტანია?!
გუნდს უღალატა შოთამა,
მეორე გუნდში გადავიდა
ალბათ ომარამ მოქრთამა“.

მოტოციკლი რომ უყვარდა, იცით, ერთხელ ვთხოვე, უფრო შევეხვენე, ენათხოვრებიან, დამყაბულდა. გავაქროლე, მაგრამ ვერ ვატარე კარგად. ერთი სანთელი (ე.წ. „სვეჩი“) აქვს მხოლოდ და ის დავუზიანე. ხელით მოვიყვანე უკან — შემხედა და მითხრა — ტარება თუ არ იცი, წამოდი წყალთაშუაში და გასწავლიო.

მასწავლიდა. დავიმორცხვე და მას შემდეგ მოტოციკლი არ მითხოვია მისთვის.

თვითონ კი დააჯირითებდა, დააქროლებდა ზოვრეთიდან საზანოში და პირიქით.

მოსწავლეებთან ძმაკაცობდა, იმათ გამოარჩევდა, ვისაც სპორტული მონაცემები ჰქონდა და ცალკე ავარჯიშებდა,

თვითონაც, გაკვეთილების შემდეგ, ხშირად დარჩენილა სკოლაში, ვარჯიშობდა, სხეულს იკაჟებდა, სულ სპორტულ ფორმაში იყო. მაშინ ე.წ. „შიპლეტები“ გახლდათ მოდაში და ერთ კვირაში ვარჯიშით ერთი წყვილი ასეთი ფეხსაცმელი უნდა დაეხია.

ვარჯიშობდა, სხვებსაც ავარჯიშებდა, გაინძერი, ძონძო, სხეული გაიკაჟეო — იცოდა თქმა.

ძონძს იმას ეძახდა, ვინც მოწონდა, ვისი სპორტული მონაცემებიც იმედს უსახავდა გულში.

საერთოდ, სპორტის მოყვარულ ადამიანს დიდ პატივს სცემდა. მასთან სიახლოვისათვის ან ქართული ენის ან საქართველოს ისტორიის ან კიდევ სპორტის ცოდნა იყო საჭირო. უყვარდა ქართულად აღზრდილი, ზრდილობიანი მოსწავლეები, დიდად აფასებდა თითოეულის ნიჭს, ცოდნას. სპორტის მოყვარულებს სხვა მეცნიერებათა სწავლის აუცილებლობას ჩასჩინებდა, ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდებს კიდევ ფიზიკური კულტურის საჭიროებაზე ესაუბრებოდა.

სამხედროდან დავბრუნდი. მითხრეს, შოთას ავარია მოუვიდა, ტყემალს შეეჯახა მოტოციკლით, ავადააო, მივედი, ვინახულე, გაეხარდა საოცრად. არ შეცვლილხარო — მითხრა.

უყვარდა მყარი ბუნების, ხასიათის ადამიანები. მერყევსა და ქანქარას, აქეთ-იქით მიმომრხეველს ვერ იტანდა. ცხოვრება ბრძოლააო, — გვეუბნებოდა, მაგრამ ამ ბრძოლაში არასდროს უნდა გახდეს ისეთი, როგორსაც ებრძვიო.

თვითონ არ გამხდარა, არ შეუცვლია ნირი, ხასიათი, პრინციპი, ერთხელ არჩეულ გეზს ცხოვრებისას, ერთგულებდა და ეთაყვანებოდა. ბავშვთან ბავშვი იყო, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, კაცთან კაცი და ქალთან კი-

დეე კაცი. არასდროს უსმენდა სხვის ნათქვამს, ყველასა და ყველაფერზე საკუთარი აზრი, შეხედულება გააჩნდა.

ერთხელ საწყალი ომარ თურქაძე იქითა გუნდიდან აქეთ გადმოვიდა, შოთა იქით დარჩა, ომარმა ჩვენთან ისურვა ყოფნა, გადმოვიდა და შოთას მსჯავრმაც არ დააყოვნა, იქვე მოედანზე დანერა ცარციტ — გამყიდველი თავდამსხმელი ომარი. თამაშის დროს ჩვენი ტოლი იყო, ერთობოდა, სპორტულ ჟინს იკლავდა. დამთავრდებოდა შეჯიბრი და უმცროს-უფროსობა კალაპოტში დგებოდა, ის მასწავლებელი, ჩვენ მოსწავლეები ვხდებოდით.

ჩასახუტებელი კაცი იყო. ღვინოში ვერ მერეოდა. ერთ სუფრას ისე გავლევდი, ფეხს არ მოვიცვლიდი, ჭკუას კარგავდა, კაცი ხარ, თუ ქვევრიო — მეხუმრებოდა. ვჯობნიდი სმაში, დალევაში და ხუმრობით ბრაზდებოდა — ჩემი მოსწავლე ხომ იყავი, სმაში დამითმე, შენდენს ვერ დავლევ, ნალველი მანუხებს ხომ იციო. მას არ ვასმევდი, მე ვსვამდი და ეს უფრო აცვიფრებდა, გულის გულში დაჯაბნილად, დამარცხებულად თვლიდა თავს და ამის გამო ხშირად აფორიაქებულა ხოლმე.

ღვინოში დამითმეო, არ ვუთმობდი.

არ მახსოვს, ვინმესთან რაიმე შეშლოდეს, პირიქით, სხვათა შეცდომების გამოსწორებას ლამობდა მთელი ცხოვრება. თავისი მე ჰქონდა, მხოლოდ მისი რომ იყო, სხვათაგან განსხვავებული.

უფულოდ ყოფნა არ უყვარდა. ფულს სალაროში ინახავდა, იქ რომ მაქვს, იმედიანად ვარო — მეტყოდა ხოლმე. დამჭირდება გამოვიტან, მოვიხმარ. იყო მხარჯველი — ძმაკაცობაში, მეგობრობაში ჩაჭრილი შოთა რობაქიძე არავის უნახავს, რაც არ იყო, რას ნახავდა.

ცოლის ძმა დუტული ფანჩულიძე მეღვინე იყო, მან

მომითხრო — ერთხელ ხუთი ათასი მანეთი (კაი ფული იყო იმ დროს) მივეცი, ვთხოვე, პალტო იყიდე, დანარჩენი, როგორც გენებოს, ისე მოიხმარე-მეთქი.

წავიდა, სალაროში შეიტანა.

შევხვდი. ისევ მივეცი იმდენივე. ახლა უფრო მეტად ვთხოვე. ჩემს სახელზე ერთი ძვირფასი პალტო იყიდე-მეთქი. დამპირდა, აუცილებლადო.

წავიდა, ისიც სალაროში შეიტანა.

მესამედ ფული აღარ მივეცი, წავედი, თვითონ შევუძინე პალტო და ვაჩუქე. გაეცინა — კაცს ახალთახალი პალტო შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ძმაკაცების პატივსაცემი ფული სულ უნდა მოეძებნებოდეს, სჯობს, ჯიბეში, თუ არა, სახლში ან კიდევ სალაროში.

უყვარდა ადამიანის პატივისცემა. სულ იმას ცდილობდა, ვინმე რაიმეთი გაეხარებინა, რაღაც ესიამოვნებინა, გაეხალისებინა. საკუთარ წუხილს არ გაგიმხელდა, შენსას ძირის ძირამდე ძალით გათქმევინებდა, ნუგეშს გეტყოდა, დაგამშვიდებდა.

შოთა რობაქიძე, ყველასათვის საყვარელი კაცი, მეტს იმსახურებდა, უფრო მეტის ღირსი იყო. უფრო უკვდავყოფილი უნდა იყოს მისი სახელი, ხშირად უნდა ახსოვდეს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ყველას, რათა მას მიზაძონ, იყვნენ ისეთი — ღირსეული და გამორჩეული.“

მოგვითხრობდა ამ ამბებს თამაზ გიორგაძე, განსაკუთრებით ხშირად ერთ წინადადებას იმეორებდა — ჩასახუტებული კაცი იყო შოთა რობაქიძეო.

თვითონაც ასეთია —

ჩასახუტებული...

ამიტომ მეგობრობდნენ

ოჯახი — ლიბო ქვეყნისა

შოთა რობაქიძისათვის ოჯახი ქვეყნის საძირკველი იყო, ის წმინდათანმინდა კერა გახლდათ, რომელსაც გაფრთხილება, დღენიადაგ სულის ბერვა და პატრონობა სჭირდება. ოჯახი ტრადიციის გარეშე ვერ წარმოედგინა, უფრო სწორად, წინაპართაგან გადმოცემული ადათ-წესები „პანია სახელმწიფოში“ შეუვალად უნდა ყოფილიყო დაცული და შენახული. უპირველესად, უფროს-უმცროსობა გარჩეულიყო, ერთს — თავისი, მეორეს თავისი ადგილი ჰქონოდა. არ აღრეულიყო, უმცროსს უფროსის საკეთებელი არ ეკეთებინა, სიტყვა არ ეთქვა, პასუხი არ გაეცა და პირიქით. სადაც უფროსი არაა, ის ოჯახიც არააო — იცოდა თქმა.

შვილებს — ბესიკსა და გოგის დაუძახებდა, ძმისშვილსაც მიამატებდა და ოჯახიშვილობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას — ახალგაზრდები ხართ, ვაჟკაცები, ოჯახები უნდა შექმნათ, მეუღლეები შეირთოთ, მაგრამ სანამ გულში გაიფიქრებდეთ რაიმეს, პირველად ის იკითხეთ, ვისი ოჯახიშვილია, გვარიშვილია, რაგვარ ფასობს კერა მისი. ბევრ რამეზე შეიძლება დახუჭოთ თვალი, ოჯახიშვილობაზე არა, ცუდი სიცოცხლეს გაგიმწარებთ, ნაღდი გაგახარებთ, ცას აგანვდნთ სიხარულითო.

უპირველეს ყოვლისა, მოწონებულ ქალიშვილს ოჯახიშვილობა გამოკითხეთ — გაუმეორებდა. მერე დააკვირდით, საუბრის დროს თუ არ განითლდა, სახეზე აღმურმა არ გადაკრა, არ დაირცხვინა, ურცხვად თუ შემოგხედათ თვალებში, ცუდი აღზრდილი ყოფილა, ვერ ვარგებულა, რო-

გორც ოჯახიშვილი და ჯობს განერიდოთ. ასეთი არ გამოგადგებათ, მითუმეტეს ჩვენთან, სადაც ტრადიციული გაგება მკვიდრობს ამ წმინდათწმინდა ცნებისაო.

ქალს სიმორცხვე და სინაზე ამკობს, ამშვენებს, უტეხი კაცი არ ვარგა და დედაკაცი როგორი იქნებაო.

თუ არ განითლდა, სახეზე აღმურმა არ გადაკრა — უტეხი ყოფილა, მტრის ოჯახში ამისთანაო.

ხასიათის ამოცნობა შეეძლო, უამრავი თაობების აღმზრდელი შეუმცდარად ხვდებოდა, ვინ როგორი იყო, როგორი ქცევით გამოირჩეოდა, ამ ქცევის მიღმა კიდევ რანაირი ხასიათი იმალებოდა. ამიტომ ურჩევდა ასე საგულდაგულოდ შვილებსა და ძმისშვილს.

იყო ტრადიციის ერთგული.

შესანიშნავი, ძირძველი ქართული ადათ-წესების მოყვარული ოჯახი ჰქონდა. ულამაზესი ქალბატონი ინგა ფანჩულიძე ედგა გვერდით და ენეოდნენ ცხოვრების ჭაპანს, იყოფდნენ ჭირსა და ლხინს, ბევრის არასდროს მდომნი მცირედით იყვნენ კმაყოფილნი, შოთა ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა, ინგა — ზოვრეთის ამბულატორიაში. ერთს მეზობელ სოფელში უფრო იცნობდნენ, მეორეს — მშობლიურში. ორივენი უყვარდათ, აფასებდნენ. შოთა რობაქიძის ოჯახის გამორჩეულობა, ტრადიციისადმი ერთგულება ყველასათვის იყო ცნობილი. შვილებიც სასახლო აღზარდეს, ბესიკი — ღვინის, გოგი — პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია.

ოჯახი პანია სახელმწიფოაო — იცოდა თქმა და ამ განცდით უძღვებოდა საკუთარ კერას. ფუნქციებიც მკაცრად ჰქონდა გადანაწილებული — ქალს ქალის, კაცს კიდევ კაცის საქმე უნდა ეკეთებინა. როცა ქალბატონი ინგა რაიმე სურვილს გამოთქვამდა, ეგ არაა ქალის საქმე, ვიცი, რო-

გორც უნდა გავაკეთო — ეტყოდა. ისეც მომხდარა, შენთვის რომ დამეჯერებინა, უკეთესი იქნებოდაო — უთქვამს საყვარელი თანამეცხედრესათვის. ასე, რომ შეცდომის აღიარებაც შეეძლო, იმის თქმაც, რა როგორ იქნებოდა უკეთესი. არ იყო ჯიუტი, უფრო თავის თავში დარწმუნებული კაცი ეთქმოდა, მაგრამ ამავედროულად სამართლიანი, — ობიექტურად განმსჯელი და შემფასებელი სხვისი და საკუთარი ნამოქმედარისა.

შვილებს მაქსიმალურ დამოუკიდებლობას აჩვენებდა. არ უნდოდა, მათ არჩევანში ჩარეულიყო, მაგრამ რჩევის გამოუთქმელობაც არ შეეძლო:

სუფრაზე დასხდებოდნენ, უფროს ვაჟიშვილს, ბესიკს თამაძობას შესთავაზებდა, თან დააკვირდებოდა, როგორ იტყოდა სადღეგრძელოს, რა თანმიმდევრობით წარმართავდა სერობას. მომხდარა ისეც, მის ხასიათსა და ძვალბილში გამჯდარის სანინაალმდეგო თანმიმდევრობით გაძლოლია, გაცხარდებოდა, შუბლს შეიჭმუხნიდა, იქვე ეტყოდა:

— ბიჭო, გამოასწორე...

სხვები გამოექომაგებოდნენ თამადას, აცალე, როგორც სურს, ისე წარმართოს, იმგვარი თანმიმდევრობით წარმოთქვას სადღეგრძელო, როგორც გაეხარდებაო. არ დაეთანხმებოდა, საკუთარ აზრს აქაც არ დააყოვნებდა:

— მე რავარც მინდა, ისე უნდა ითამაძოს!

ეს „რავარც“ კი ტრადიციის ერთგულება, წინაპართა ხსოვნის მარადიულობა, მამულის ერთგულება, ქალის დაფასება, კუთხე-მხარის გამორჩეულობა და ა.შ. იყო.

— რავარც მე მინდა, ისე უნდა ითამაძოს — ყველას წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ყველას ჩააჩუმებდა, რადგან კარგად უწყოდა, მცირეს დარღვევიდან სათავე ედება დიდის

არაფრად ჩავდებას. ამიტომ არ პატიობდა თუნდაც ერთ გადახვევას, გადაადგილებას სადღეგრძელოსა.

შოთა რობაქიძე დიდ ოჯახში აღიზარდა. რვა დედმამიშვილს საოცარი და-ძმობა ჰქონდათ, ერთმანეთს ხელს უწყობდნენ, ეხმარებოდნენ, ერთმანეთის ჭირსა ლხინს იზიარებდნენ, მაგრამ მამაპისეული კერისადმი ერთგულება მაინც სხვა იყო. აქ რვავე ერთი გახლდათ, ერთი სურვილით გამსჭვალულნი, საგვარეულო სახლისა და ფუძის ერთგულებით გულანთებულნი.

შოთა და უჩა გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, პირველი — ახალ ფუძეზე, მეორე — მამაპაპისეულზე, შეხუმრებულებიც იყვნენ ერთმანეთთან. ჭურის მოხდა რიტუალად ქცეულიყო მათთან. შოთა დაინწყებდა ამ საქმეს, უჩა გააქილიკებდა, უჩას დალანდავდა ჭურისთავზე, შოთას იუმორი არ დაახანებდა.

ამ ამბებზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ.

შოთა რობაქიძისათვის ჭურის მოხდა მართლაც დღესასწაული იყო. საგანგებოდ მოემზადებოდა, ბარს, თოხს, სპეციალურად ამ ადგილის დაგვისათვის განკუთვნილ ცოცხს, წყლის ჭურჭელს მოიმზადებდა, ორშიმოს საგულდაგულოდ გარეცხდა და გასწევდა ჭურის მოსახდელად. მივიდოდა, ჭურისთავს დაგვიდა, დაასუფთავებდა, ფოთლის ნატამალს არ დატოვებდა, მტვრის ფიორსაც მოაშორებდა იქაურობას. მერე თელის ხისგან საგულდაგულოდ გათლილ საჭურე ცალფეხა ბარს გარეცხდა, გააკრიალებდა. ქვევრს ფხვიერ მინას თოხით ფრთხილად გადააცლიდა, კვლავ დაგვიდა აყალო მინით დაგოზილი ჭურის ზედაპირს და დაინწყებდა გარშემოვლას, ბარს დაასველებდა, ჩაასობდა, მიარყევ-მოარყევდა, ისევ დაასველებდა, ისევ ჩაარჭობდა... შემოუვლიდა ფაქიზად, მოზომილად. კატის სიფრთხილით ნამო-

წევდა ზემოთ აყალოს, მერე ძალას დაატანდა და ააცლიდა. სარკველებს დააკვირდებოდა, ირგვლივ მიმოასუფთავებდა, განმენდდა, მერე ამასაც ფრთხილად ამონევდა — ჩახედავდა ჭურს, ჩააკვირდებოდა, ჩააცქერდებოდა აყალო მინის გვერდებს, მანამდე რომ საგულდაგულოდ გვერდულად მოტკეპნა და მოასწორა. ჩახედავდა ღვინოს, ტილოს დაიფენდა, ჩაიჩოქებდა და ჭიქით დანვდებოდა ზედაპირს, ამოიღებდა, გახედავდა, ფერს შეამონმებდა, მზისკენ მიაქცევდა სასმისს, მერე ჩრდილისკენაც გალანდავდა და ეზოში გამოსული უჩაც დაიხმაურებდა:

— რა იყო, შოთა, ჭურს ხომ არ ხდი, გაივსო ეზო კოლოებით...

გაიღიმებდა ჭურისმომხდელი, ტუჩი ჩაეჭეჭკებოდა ღიმილით. საიდან დამინახა, ამის გაუგებრად ხომ ვერ გამოვსულვარ ჭურისთავზე — გაიფიქრებდა.

— დროზე დაგნისე, შეგვჭამა კოლოებმა — არ ცხრებოდა საქილიკოდ შემართული ძმა.

— მოდი, მოდი, კოლოებს ჩემს ღვინოსთან რა უნდა, შენს ძმართან ძმაკაცობენ...

— უზმოზე ძმარი გულს მომწყვიტავს, გაშალე სუფრა და გადმოვალ.

სახელდახელოდ სუფრაც გაიშლებოდა, იქვე, ჭურისთავზე, საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილ ადგილას. მოვიდოდა უჩა, უფრო ღიმილიანი სახით, უფრო საონავროდ შემართული, გასინჯავდა ღვინოს და იტყოდა:

— შენ ძმარს არა ჰგავს, ბიჭო, ჩემი ღვინო ხომ არ გადმოგიტანია ნუხელ?!

— ხო, მთელი ღამე შენი ჭურისთავიდან ძმარს ვეზიდებოდი, ჩემს ჭურში ჩავასხი და ღვინოდ გადაიქცა, მოვლა უნდა ამ ღვთიან-მადლიანს, მოვლა — ჩაილაპარაკებდა

და ამით გამოხატავდა თავისი ღვინის ქებასა და ძმის ნათქვამით აღტაცებასაც.

იქეიფებდნენ შოთა რობაქიძის ქარვისფერი ღვინით, ერთმანეთთან შეხუმრებული, განუყრელი ძმები.

იქეიფებდნენ. მერე სხვა დროს უჩა დაინწყებდა ჭურის მოხდას, ჩავარდებოდა „შოთას ყბაში“.

— რას შვრები, ძონძი, არ გინდა ამ თვეში დავიძინოთ, რა ძმარი გაქვს ასეთი, შეგვჭამა კოლოებმა, მაინც რამდენი და რა დიდებია, ლაბორატორიაშია გასასინჯი შენი შვლაპი, არ დაგვნამლო თუ ძმა ხარ?!

— მე გასწავლე ღვინის დაყენება, მეტი მეკუთვნის.

— შენთვის რომ დამეჯერებინა, გერმანელებზე ნაკლები ადამიანი არ მეყოლებოდა მოკლული — არ ცხრებოდა შოთა.

— მოდი, გასინჯე, მერე ილაპარაკე...

— მოვალ, აირწინაღს ნამოვიღებ...

— მტერი ჩავარდა შენს ყბაში — ნებდებოდა უჩა.

— მტრის მეტი ვინ გამოყრიდა ამდენ კოლოს, შეგვჭამენ ოხრები, სარქველი მაინც დაახურე მაგ საკოლოეთს.

— ქარვაა, ქარვა, მოდი, გასინჯე...

— ხელწერილი დამინერე, რომ არ მომკლავს!

— დაგინერ, უკეთესს ვერ დალევ, შარბათია, შარბათი

— თან ტურჩებში დაგუბებულ ღვთაებრივ სითხეს აგემოვნებდა უჩა.

მოვიდოდა შოთა, ფრთხილად, კატის ნაბიჯებით გადმოჭრიდა ეზოს, ჭურისთავს მიეახლებოდა ხელების ქნევით, ვითომ კოლოებს იცილებდა.

— მაინც მაგნიტივით იზიდავს შენი ღვინო ამ წუილებს

— ჩაულიმილებდა ძმას და დასაჭაშნიკებლად გამონვდილ სასმისს გამოართმევდა.

— ძმარია, — იტყოდა გასინჯვის შემდეგ.

— შენია ძმარი, — ეს შამპანური — ჩაილაპარაკებდა ომნაგებული უჩა.

— ასეთი ძმარი კაი ხანია არ დამიღევია, აცალე ცოტაც, სალათისათვის გამოგვადგება.

— შეხედე, შეხედე, როგორ ყრის ჟინჟღებს...

— ჟინჟღებს კი არა, ისე ისვრის კოლოებს, როგორც მესერშიტი ბომბებს.

— დალიე, ბომბი მერე ნახე.

— სასიკვდილოა ეს დაბომბვა — ქილიკობდა შოთა...

ასე იცოდნენ, ასე ჩვეოდათ, იუმორით გამოხატავდნენ სიყვარულს ურთიერთისადმი. შოთას დაინახავდა უჩა ჭურისთავზე, საქილიკოდ გაებადრებოდა სახე, ეს დაინახავდა იმას და ასევე აენტებოდა, მოენკურებოდა თვალები.

შოთა რობაქიძე ღვინის საოცარი მცნობი, დამგემოვნებელი, შემრგები კაცი იყო. იუმორთანაც არ იყო უბრად, ისეთს იტყოდა, ხანდახან ისე მოუჭრიდა, ისე მოუჩიქორთულებდა, ისე განასკვავდა სასაცილო სიტუაციას, იმგვარად აანყობდა თხრობას, რომ მონინააღმდეგე იძულებული იყო, დანებებოდა, ხან ნებდებოდა, ხან გაეცლებოდა, ნათქვამის მეტი სიმწვავე რომ არ ეგრძნო და გამოეცადა საკუთარ თავზე. საერთოდ, კარგზე ცუდს ამბობდა, გააქილიკებდა, გაამასხარავებდა მოსაწონს და ამით გამოხატავდა თავის აზრს, ცუდზე, უფრო საშუალო ხარისხის ღვინოზე, სანყალი ხმით იტყოდა, კარგიაო და მორჩა. კარგზე ხალისით, ამაღლებული განწყობილებით ხუმრობდა და ქილიკობდა:

შეხუმრებულები იყვნენ ძმები ერთმანეთთან, საერთოდ, დედამამიშვილები...

მოსწავლეებთანაც იტყოდა ხოლმე სასაცილოს, განსა-

კუთრებით გაკვეთილზე — ვინმე ბურთს ფეხს ააცილებდა: უკულმა აქვს ტერფი მიბმულიო, ბურთს ვერ შეწვდებოდა — პისტოლეტით უნდა დაგადგე თავზე, მაღლა რომ ასწიო ხელებიო, ვერ გადახტებოდა, ბორკილი გაქვს ფეხებში, გაშალე ნაბიჯი და ისე გამოიქეციო და ა.შ.

იუმორით ხშირად სიტუაციაც განუმუხტავს, სასაცილოდ უქცევია საკამათო.

ოჯახში უფროს-უმცროსობის ტრადიციის ერთგული იყო-თქო, აღვნიშნეთ. შვილებსაც ასე ექცეოდა. უმცროსი დააშავებდა, უფროსს გაუჯავრდებოდა, მას მოსთხოვდა პასუხს. გოგი (იგივე გოგილო) მოტოციკლის ტარებაშიც დაემგვანა მამას. ხშირად ცალ ბორბალზეც უჯირითებია ორბორბლელი, წინაპარივით გადანვება ხოლმე მოტოციკლზე მოსახვევში და ისე მოუხვევს. ამიტომ ფათერაკებიც ხშირად ყოფილა. მისაღებ გამოცდებს აბარებს ქუთაისში, მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ნამეცადინებმა იფიქრა, მოდი, მოტოციკლს გავაქროლებ, გავხალისდები, დავიღალე ამდენი ამოცანების ამოხსნითო. მოახტა და გაქანდა, გაუტკბა ქროლვა, ააყირავა ცალ ბორბალზე, აჯირითა, კარგ გზაზე, ცუდზე, ორივეზე მოსინჯა, ერთხელ წაიქცა, ხელები გადაიფხოკა ასფალტზე, არაფერიო — გაიფიქრა. მივალ, სპირტს მოვისვამ და გამივლის, მშობლებიც ვერ შემამჩნევენო, მეორედ ამოტრიალდა, აღარც შეუხედავს გადატყაული ხელმკლავისათვის, ჟინი მოეძალა, აქ როგორ წავიქეცი, სხვა დროს ცალ ბორბალზე მთელი გზა მიქროლებია, ახლა რა მემართებაო, მიეძალა. მესამედაც წაიქცა, მეოთხედაც, ფარიც ჩაუფშვნა მოტოციკლს, სხვა მხრივაც ბევრი რამ დაუზიანა. მეორე დღეს გამოცდა აქვს. პირველი ნაქცევა ცუდად ენიშნა, ამიტომაც მიეძალა, მერე აღარც გახსენებია ინსტიტუტი და გამოცდები.

დედამ — ქალბატონმა ინგამ გადაუხვია ორივე ხელი, თითებს მშვენივრად ამოძრავებს, ტკივილითაც არ ტკივა, უფრო ის ანუხებს, როგორ შეხვდეს და რა უთხრას მამას?!

ფარჩაფშენილი, საღებავგადახეხილი, დამტვრეული მოტოციკლი დააყენა, შოთას ხმა არ ამოუღია, დაინახა და განერიდა. ეს უნდა გაცლოდა, ის გაეცალა. ამ დროს ბესიკი დაბრუნდა სამსახურიდან, იმას გაუჯავრდა:

— რას ჰგავს, ბიჭო ეს! — მოტოციკლზე მიუთითა.

— რა ვიცი, მამა, ახლა მოვედი.

— რას ჰგავს, ბიჭო ეს — გაუმეორა

— რატომ მეჩხუბები, ახლა მოვედი, რა ვიცი...

— შენ რომ გეჩხუბები, იმან უნდა გაიგონოს, უფროსი ხარ, მეტი მოგეთხოვება.

მეტს თხოვდა, ძმის დანაშაულზეც მას აგებინებდა პასუხს, თუმცა აღზრდის არსენალში სხვა მეთოდიც გააჩნდა, უფრო საინტერესო, მის ხასიათს მისადაგებული.

მამიდაშვილის ქორწილიდან ბესიკი მთვრალი დაბრუნდა. აიკვიატა ღვინჯუასავით — ერთი სადღეგრძელო დამრჩა შეუსმელი, ნავალ, დავლევ, სურვილს მოვიკლავო. დაუშალა დედამ, არ დაიშალა, ნუ გეშინია, ერთის მეტს არ დავლევ, ის ერთი გულს ჭეჭკად მაქვს ჩარჩენილი, ნუ დამიშლი, დავლევ და მორჩა, ნახევარ საათში აქ ვიქნებიო, — უთხრა.

— ერთს არ დაჯერდები, თანაც ნასვამი ხარ, — გაუმეორა ქალბატონმა ინგამ.

— ერთს, მხოლოდ ერთს, დედიკო...

გამოიყვანა მოტოციკლი, მამიდაშვილის სახლამდე კაიხელა გზაა, ფეხით როდის გავიდოდა, ის შიმშილაქედშია, საზანოს ერთ-ერთ უბანში, ეს — ზოვრეთში. აქედან უნდა გავიდეს იქ, თქვას ერთი სადღეგრძელო, შესვას ერ-

თი სასმისი და უკან მობრუნდეს... არც ყინვაა, არც ქარა-შოტი, არც ღამე, ღვინჯუას მსგავსი დაბრკოლებებისაგან დაზღვეულია. იმას ყველანმიდა დაავინყდა და თითქმის შინ მისული გამობრუნდა უკან, ეს არ ამხელს, ან აღარ ახსოვს, რის შესასმელად ბრუნდებოდა შინ მისული ქორნილში, რომელშიც იყო, მოილხინა, შესვა შესასმელი და წამოვიდა.

— ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, დედიკო, დავლევ და აქ გავჩნდები...

— ერთს არ დაჯერდები შენ...

მოტოციკლი დაქოქა, ფრთხილად მოკალათდა, ახალ-თახალი კოსტუმ-შარვალი აცვია, ამის გამო ფრთხილობს და პენენიკობს, ახალ, საქორნილოდ შეძენილ ტანსაცმელს უფრთხილდება, მოტოციკლს — არა. მოკალათდა, გაიარა ორმოცდაათი მეტრი და ამოყირავდა, გადაფხრინა ტანსაცმელი, შარვალი მუხლებზე, კოსტუმი მკლავებზე გადაქლითა და გადახია.

